


140  
1955/3

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ს. რ. თ. ნ. ე. კ. რ

№ 1  
იანვარი  
1955



პროექტი ვ. ი. ლენინის ძეგლისა,  
რომელიც აიგება თბილისში  
ლენინის მოედანზე




# პ ი თ ე რ ი

№ 1

იანვარი, 1955 წ.

წელიწადი XXIX

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ქოველთვიური საბავშვო შუკნალი



6904

რუსულ რზბ

## ლ ე ნ ი ნ ი \*

ღამეს დღე მისდევს, დღეს ღამე,  
რამდენი წელი გავიდა...  
თაობას მისდევს თაობა,  
ასე ყოფილა თავიდან.  
გვალვაც ყოფილა, წვიმებიც,  
მოუსავლობაც, ავდარიც,  
ცივ ზამთარს სცვლიდა ზაფხული  
და შემოდგომას — ზამთარი.  
მხოლოდ ხალხის ხსნა არ ჩანდა,  
ხალხის მზის გასხივოსნება,  
უკეთეს მერმისს ამოღ  
ნატრობდა ხალხის ოცნება.

მაგრამ დღე დადგა ნატრული  
და საოცნებო საათი:  
იმ საოკუნის აპრილი  
და წელი სამოცდაათი.  
ხალხს ოცდაორი აპრილი  
სულ მუდამ ემანსოვრება,  
იმ დღეს განათდა პირველად  
მილიონების ცხოვრება.  
იმ დღეს ცა იყო საოცრად  
გამჭვირვალე და მაღალი,  
მინდვრებზე მწვანე ბალახი  
ამოდოდა ახალი.

და მიწამ იგრძნო გათბობა,  
მარტო სოფლებში კი არა,  
დიდ ქალაქებშიც აპრილში  
გაბრწყინდა ზეცა კრიალა.  
ცა იყო ისე ნათელი,  
ღრუბელიც არსად ერია...  
ისტორიაში იგი დღე  
ოქროს ასოთი სწერია.  
ღრო გავა,

ცხოვრების წიგნში  
გაქრება ბევრი ფურცელი,

\* ნაწყვეტი პოემიდან „ლენინი“.



მაგრამ წარწერა ოქროსი  
დარჩება მარად უცვლელი.  
ღრო გავა მთებზე, კლდეებზე  
გაქრება ცამდის აწვდილი,  
მაგრამ მარადის იქნება  
გწამს, ოცდაორი აპრილი.  
ოქროს ასოთი დაწერილს,  
ვერას დააკლებს ამ თარიღს,  
ვერც დროის მტვერი, ვერც თოვლი,  
ვერც გრიგალი და ავდარი.  
ეს დღე მით ბრწყინავს მარადის,  
ეს დღე მით არის მდიდარი,  
რომ რუსმა დედამ ვოლგაზე  
ვაჭი დაბადა ნისისდარი.  
დედის გულს შუქად დაადგა  
ყმაწვილის თვალის განულა  
და გლადიმერი დაარქვა  
ხალხების იმედს სახელად.

\*\*\*

გაჩენის დღიდან, ბავშვები  
არიან სხვადასხვაგვარი,  
ჯანმრთელობა ყოველთვის  
ყველა ბავშვისთვის მთავარი.  
მაგრამ ჯანმრთელი ბავშვები  
ერთმანეთს გვანან ამაში:  
თუ არაფერი აწუხებთ,  
მაელი დღე უნდათ თამაში.  
თამაში რომ არ უყვარდეს,  
ბავშვთაგან არის რომელი?  
ზოგი თამაშში იზრდება  
ცელქი და დაუდგრომელი.

ზოგს სიხარულის ღიმილი  
მუდამ სახეზე ჰყვინია,  
ძირს დაეცემა, — აღგება,  
ვითომ და არაფერია.  
ზოგი კუთხეში მარტო ზის,  
ვერც დარბის, ისე სუსტია,  
ტოლებთან ხტომა-თამაში  
ერთხელაც არსად უცდია.  
ზოგი მთელი დღე წუწუნებს,  
თუმცა არც ცივ, არც ჰშია,  
დედისთვის ყველა ერთია  
და ბავშვი ყველა ბავშვია.  
და ვერ განსჭვრიტავს წინასწარ  
ბავშვის მომავალს მშობელი,  
ვისგან რა კაცი გამოვა,  
რა გაიზრდება რომელი.

\*\*\*

პკავდა დღეების დინება  
დინებას ვოლგის ტალღისას,  
შავზნელი იყო ცხოვრება  
მთელი მშრომელი ხალხისა.  
ბავშვს იზიდავდა, პატარას,  
ვოლგის ზვირთების ჩქაფანი,  
ხუთი წლის კიდევ არ იყო,  
როცა ისწავლა აზნანი.  
მთელი დღე ჰქონდა გაშლილი  
პატარა წიგნი პატარას,  
ეწაფებოდა წყურვლით,  
როგორც მთის წყაროს ანკარას.  
ეწაფებოდა, ვით ნუკრი  
მთის წმინდა წყაროს მიმდგარი.—

ბავშვს იტაცებდა ლამაზი  
რუსული ენა, მდიდარი.  
და მარტო ენა კი არა,  
ხიზლავდა შიგ ჩაქსოვილი,  
კეთილშობილი გრძნობები,  
აზრები კეთილშობილი.  
დღეს დღე მისდევდა, ვით ვოლგის  
ზვირთს ზვირთი სდევდა გვიანი,  
და იზრდებოდა ბიჭუნა  
გონიერი და ქვეანი.  
დღეს დღე მისდევდა, მრავალი  
კარგის და ავის მხილველი...  
პატარა ულიანოვი  
სკოლაში იყო ბიჭველი.  
არდადეგებზე ფაროთ გზას  
გაუდგებოდა დიდიდან.  
და ახლო სოფლებს მარტოკა,  
სულ ფეხით ჩამოიცილდა.  
ხედავდა, როგორ დუსპირად  
ცხოვრობდა ხალხი მშობელი,  
ჩაგვრის უღელქვეშ გმინავდა  
მილიონობით მშრომელი.  
წუხილით, ყოველ ნაბიჯზე  
ხედავდა ბიჭი პაწია,  
რომ ჩაგვრამ დიდი რუსეთი  
დიდ საპყრობილედ აქცია.  
ხედავდა, ხალხი ვით განდა  
თავის გაჩენის მგობელი, —  
დიდი პუშკინის, გერცენის  
და რადიშჩევის მშობელი.  
გაიღვიძებდა მიდამო,  
თოვლით და ქარით ნათქერი,  
ყინულის ხუნდი ტყდებოდა,  
დაიძრებოდა ლანქერი.  
მდინარე გაიშლებოდა,  
ხეც სწორდებოდა მოხრილი,  
მხოლოდ უცვლელი რჩებოდა  
ხალხის წამების ბორკილი.  
ციმბირის გზებზე, ქარბუქში  
მარხილს მისდევდა მარხილი,  
ასობით კატორღელები  
მიჰყავდა ბორკილგაყრილი.  
ყველგან ჯაშუში დაპქროდა,  
ყველგან — ქანდარმი ხმლიანი,  
თავისუფლების სიმღერას  
აზნობდა ხუნდის ჩხრიალი.  
სად იქნებოდა განკითხვა,  
მეფე თვით იყო ჯალათი.  
აღშფოთებულ ხალხს სისხლიან  
ბურთს ჩრიდა ძალისძალათი.  
მაგრამ ხალხს ბრძოლა სწყუროდა,  
დაცემულთ სცვლიდნენ ახლები,  
არ ეშინოდათ სიკვდილის,  
ციხის და გადასახლების.



ვ. ი. ლენინის ქების ფურცელი, მიღებული 1884 წელს.

თარგმნა გრიგოლ აბაშიძე



ნიკოლოზ პერაგინიკოვი

## ვალოდია ულიანოვი

(მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრობის წლებზე კოკუშკინოში)

მინდა ვიამბოთ იმ შორეული დროის შესახებ, როცა ჩვენი დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ბატარა ბიჭი იყო.

მე დიდი ბედნიერება მხვდა წილად: მოწმე ვიყავი ვლადიმერ ილიას-ძის ბავშვობისა და ყრობისა და მონაწილე მისი თამაშობისა და გართობის. დედამისი, — მარია ალექსანდრეს-ასული ულიანოვა, — და დედაჩემი დვიძლი დები იყვნენ.

ვალოდია ულიანოვი დაიბადა სიმბირსკში, ვოლგის პირას, და გიმნაზიის დამთავრებამდე იქ ცხოვრობდა. ახლა იმ ქალაქს ულიანოვსკი ჰქვია.

ულიანოვების ოჯახი ყოველ წელს ჩამოდის სოფელ კოკუშკინოში, იქ ჩადის ყაზანიდან მთელი ჩვენი ოჯახიც.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩემი მოგონებანი ვალოდიაზე ისეთი ცოცხალი და ნათელი, ასე მგონია, გუშინდელი ამბავია-მეთქი.

ცოცხლად მიდგას თვალწინ შუატანის, ჩაფსკენილი ბიჭი, გამოზურცულ შუბლზე გადმოშლილი ქერა, ოდნავ ზვეული, საოცრად რბილი თმებით; მისი მოციმციმე, ხანდახან ეშმაკურად მოჭუტული თაფლისფერი თვალები; გაბედული, ენერგიული, ძალიან ცოცხალი, მაგრამ არა მოუსვენარი ბიჭი; ზოგჯერ მეტად ცელქი, თუმცა მისი სიცელქე უნებშობაში არასოდეს გადადიოდა.

ასეთი იყო ვალოდია იმ შორეულ დღეებში. ლაპარაკი ძალიან უყვარდა, მაგრამ ლაქლაქა არ ყოფილა, დაკვირვებული, საოცრად ენამახვილი და ისეთი მოხერხებული იყო, რომ, რა გარემოებაც არ უნდა ყოფილიყო, არ დაიბნეოდა.

### სიმბირსკში გამგზავრება

ერთხელ, გაზაფხულზე დედამ დააპირა სიმბირსკში გამგზავრება დეიდა მამასთან და დამპირდა, შენც თან წაგიყვან სტუმრად ვალოდიასთან. ვალოდია მაშინ 10—11 წლისა იყო, მე კი 11 თვით მასზე უმცროსი ვიყავი.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ როგორ გამახარა იმ ამბავმა, რომ ვალოდიას ვნახავდი. სიხარულით პირდაპირ ცას ვეწეოდი.

ჩემი უფროსი ძმები და დები კი მაჯავრებდნენ:

— აი, წახვალ ვალოდიას სანახავად, — მეუბნებოდნენ ისინი, — სამაგიეროდ ზაფხულში ის აღარ ჩამოვა კოკუშკინოში.

თუმცა მტირალა არ გახლდით, მაგრამ ამის გაგონებაზე კი ავღრიალდი და გადაქრით უარი განვაცხადე ამ, ჩემთვის მომხიბლავ, გემით პირველ მოგზაურობაზე და სიმბირსკში



ხანმოკლე სტუმრობაზე, ოღონდაც ზაფხული ვალოდიასთან ერთად გამეტარებია კოკუშკინოში.

მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა დედა ჩერია საქმეში და ბირობა მომცა, ჩვენი გამგზავრება ვალოდიას არდადეგებზე ჩამოსვლას ხელს არ შეუშლისო.

სიმბირსკში ვალოდიამ ძალიან გულთბილად მიმიღო. დავბროდი ეწოდა და ბაღში, ვთამაშობდით. ყველაზე უფრო სალდათობიას თამაში მომეწონა. ვალოდიამ თავისი ხელით გამოსჭრა სალდათები ქალადისაგან და თვითონ შეღება ფერადი ფანქრებით. არმია ორი იყო: ერთი ვალოდიასი, მეორე კი მისი უმცროსი ძმის მიტიასი. სალდათებს ფეხებთან პატარა ქალადი ჰქონდათ გადაკეცილი და იმის მეოხებით იდგნენ. ამ გადანაკეციის ზომა ზუსტად იყო დადგენილი—ერთნაირი ორივე არმიისათვის, მაგრამ განსხვავებული—ჯარისკაცებისა და გენერლებისთვის. უკანასკნელთ უფრო ფართოდ ჰქონდათ გადაკეცილი ქალადი და ამიტომაც უფრო მტკიცედ იდგნენ. ჯარებს საომარ მდგომარეობაში დიდი მაგიდის კიდეებზე განალაგებდნენ და ბრძოლაც იწყებოდა.

მუხუდოს მარცვლებს წიპურტით ვესროდიოთ სალდათებს. რომელი სალდათიც ამ სროლას გაუძლებდა და არ წაიქცეოდა, იმას ვალოდიას მიერ დახატული ორდენებით დაჯილდოვებდით. ჩემს შესაქცევად და თან პატარა ძმის გასაბრაზებლად ვალოდია მალულად რამდენიმე სალდათს ლურსმნებით მაგიდაზე აკრავდა. ეს სალდათები მუხუდოს მარცვლების მოხვედრაზე, მართალია, იღუნებოდნენ, მაგრამ არ ვარდებოდნენ, ხოლო მიტიას სალდათები და, ასე გასინჯეთ, გენერლებიც კი, პანტაფონტით ცვიოდნენ ძირს. ეს ძალიან აოცებდა მიტიას. იგი ძმის ოინს ვერა ხვდებოდა და საიცრად გაწიწმატებული სწორედ ამ უძლეველ მეომართა წაქცევას ლამობდა.

## ულიანოვების ჩამოსვლა სოფელ კოკუშკინოში

ჩვენ ზამთარშივე ვარკვევდით წერილების საშუალებით, თუ საზაფხულოდ ულიანოვებიდან კოკუშკინოში ვინ აპირებდა ჩამოსვლას და როდის. მაშინ სიმბირსკში ცხოვრობდნენ ჩემი და—საქალაქო სკოლის მასწავლებელი, — და უფროსი ძმა, რომელიც გიმნაზიაში ასწავლიდა.

მე მიწერ-მოწერა მქონდა ვალოდიასთან და ძალიან მრცხვენოდა ჩემი ცუდი ხელისა. ვალოდია მირჩევდა, თავს ძალა დაატანე და ხელი გამოისწორეო. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ადგილზე ვალოდია სწორედ ასე მოიქცეოდა და არავითარი სიძნელე არ შეაჩერებდა.

ულიანოვები ყოველ ზაფხულს იყვნენ კოკუშკინოში, მაგრამ ყველანი ერთად არ ჩამოდიოდნენ.

ვალოდიას მამა ილია ნიკოლოზის ძე სახალხო სასწავლებლების დირექტორი იყო. სწორად ხდებოდა ისე, რომ ხან სიმბირსკში დიდნობით ჩარჩებოდა ხოლმე, ხან კოკუშკინოლან, სამსახურის საქმეების გამო, ყაზანში მიდიოდა ორიოდე დღით.

ულიანოვების ჩამოსვლის დროს ჩვენ, ჩვეულებრივ, უკვე სოფელში ვიყავით. ოჯახი დიდი გვქონდა. დედაჩემი სტენოგრაფისტად მუშაობდა და, თუ სამუშაო ნებას აძლევდა, როგორც კი უმცროსებს მეცადინეობა გაგვითავდებოდა და არდადეგები დაგვეწყებოდა, კოკუშკინოში მივდიოდით; ყაზანში მხოლოდ ჩემი უფროსი და ლუბა რჩებოდა, რომელიც ტელეგრაფში მსახურობდა.

სოფელში ცხენებით მივემგზავრებოდით. წახლის დღეს ყოველ წამს ეწოდა გავბროდიოთ, რათა გვენახა, აქ იყვნენ თუ არა მეეტლენები და ცხენების ირგვლივ მოუთმენლად დავწრიალებდით.

ილია ნიკოლოზის ძე და დედა მაშა ბავშვებიანად სიმბირსკიდან ყაზანში გემით ჩამოდიოდნენ ხოლმე და ჩვენთან ჩერდებოდნენ, მერე კი ცხენებით გამოემგზავრებოდნენ კოკუშკინოში. არც ყაზანში და არც სიმბირსკში მაშინ რკინიგზა არ იყო.

ვალოდია, ჩვეულებრივ, კოფოზე ჯდებოდა და მეეტლეს ეხუმრებოდა:

— მაშ, ძია ეფიმ, ოღონდ მათრახი იყოს, თორემ ცხენები კი წავლენ?

მას საერთოდ ხუმრობა უყვარდა და გლენებიც „ხუმარას“ ეძახდნენ.

ერთი მეეტლე ბურნუთს ეწეოდა. მას ეკითხებოდა: — რატომ ეწევი?

— ესო, — პასუხობს მეეტლე და საბურნუთეზე უთითებს, — ტვინს წმენდავსო.

რაკი ბურნუთის მოწევას ცხინკება მოხდევს, ვალოდია ერთხანს რაკიმ სისულელის გაგონებაზე ამბობდა ხოლმე: „დააცხინკეო“, ესე იგი ტვინი გაიწმინდეო.

ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვიცოდით, რა დღეს უნდა ჩამოსულიყვნენ ულიანოვები კოკუშკინოში და ვცდილობდით, მათი ჩამოსვლის საათიც გამოგვეცნო. ორიოდე კილომეტრზე მთელ ჯგროდ მივდიოდით ხოლმე მათ დასახვედრად გზაჯვარედინთან, სადაც პატარა სასტუმრო ბაკი იდგა. ხანდახან მათი ჩამოსვლის დროს სწორად ვერ გამოვიანგარიშებდით და დღეში ბარე ორჯერ—სამჯერ გვიხდებოდა დასახვედრად გახვლა. ხოლო, რომ შეგვხვდებოდით, გახარებულები და გამხიარულებულები შინ ვბრუნდებოდით მთელი კომპანიით.

ულიანოვების ჩამოსვლის შემდეგ კოკუშკინოში ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი დგებოდა. წყდებოდა უცხო ენებში მეცადინეობა, განმეორებითი გამოცდებისათვის მზადება, და ბავშვების მხიარულება მათი ჩამოსვლით ერთიორად ცხოველდებოდა. პატარები სულ მხრებზე ვკიადეთ ილია ნიკოლოზის ძეს და პირდაპირ სახეში შევეციცინებდით. „ილია და ნიკოლოზის ძეს“ ვეძახდით, რადგან გვეგონა, ორი სახელი ჰქონდა. მას ძალიან უყვარდა ბავშვები და არასოდეს არ გვიშორებდა თავიდან, მხოლოდ უფროსები გვაჩერებდნენ ხოლმე, რათა ჩვენი საყვარელი აღამიანი ძალიან არ შეგვეწუხებინა.

## კოკუშკინო

მდინარის ციკაბო ნაპირზე ეგრეთწოდებული „დიდი“ ანუ „ძველი“ სახლი იდგა, ხოლო მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით, გზის მეორე მხარეს—ფლიგელი.

ამ ფლიგელში ცხოვრობდა შემდეგში ვლადიმერ ილიას ძე (1887-88 წელს) გადასახლების დროს.


მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ ამ ფლიგელში მოუხდებოდა ცხოვრება ვლადიმერ ილიას ძეს თავისი პირველი გადასახლების დროს!

ფლიგელის ცოტა მოშორებით გაშლილი იყო პატარა სოფელი, სადაც წსქვილი იდგა.

კოკუშკინოზე მეზობელი სოფლის გლეხები ასე ამბობდნენ ხოლმე: „ვეყურებთ ამ თქვენს სოფელს და ვფიქრობთ: ეს რა სასწაული რამაა—რა პაწაწკინტელა და რა მხიარულიო“. ალბათ, მის ლამაზ მდებარეობას თუ გულმისხმობდნენ მდინარე უშნას მაღალ ნაპირზე.

ზაფხულის თბილ საღამოებში  
ბაყაყებს ერთი კონცერტები ჰქონ-  
დათ გამართული სახლთან მდებარე  
„გუბურას გარშემო, ჭარბებში.  
ფლიგელის გვერდით გაშენებულ  
ბაღში, მდინარის პირას, ხეებზე  
განუწყვეტლივ გალობდნენ ბულ-  
ბულები.

კოკუშკინოში ყველაფერს  
სიძველის იერი დაჰკრავდა: დიდ  
სახლში ღუმელები გაფუჭებული  
იყო, არ ხურდებოდა; სასურავიდან  
წვიმა ჩამოდებოდა; ნავი დაჩვრე-  
ტილი გახლდათ, საბანაო—წყალ-  
ში იყო ჩაძირული, ბოიარი—  
ჩაქცეული. სახსრები არ იყო ყო-  
ველივე ამის წესრიგში მოსაყვა-  
ნად. მაგრამ ეს ჩვენ ნაკლებ გვა-  
დარდებდა, ვიცინოდით ამაზე  
მხოლოდ. მაშინ ყველას ისე გვე-



სახლი კოკუშკინოში, სადაც ზაფხულს ატარებდა ლენინი.

გონა, კოკუშკინოზე ლამაზი კუთხე არ არსებობდა. თუ  
ვინმე რაიმე ახალ ადგილებს ნახავდა, ვეკითხებოდით:

- ხომ კოკუშკინო სჯობია?
- ჰო... მდინარე არაა... ხეებიც ცოტაა...

ისიც კი მოგვწონდა, რომ ყაზანიდან უხეირო ყამირი  
გზით უნდა გვემგზავრა 40 კილომეტრზე. სოფელში ჩამოსვ-  
ლას სულ სხვა სამყაროში ვადმოვყავდით, რომელიც ასე განს-  
ხვავდებოდა ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან და ზამთრის  
განმავლობაში მობეზრებული ქალაქისაგან.

ჩვენი პაპა, ალექსანდრე დიმიტრის ძე ბლანკი, ექიმი  
იყო. ის სოფელ კოკუშკინოში ცხოვრობდა და გლეხებს  
მკურნალობდა.

ჯერ კიდევ პაპაჩემის სიცოცხლეში წესად იყო შემოღე-  
ბული, — მისი ქალიშვილები უთუოდ კოკუშკინოში ჩა-  
მოსულიყვნენ. მარია ალექსანდრეს-ასულისათვის ძველი  
სახლის მეზონინში იყო მიჩნეული ოთახი, რომელსაც „უთაი-  
ნოვების ოთახს“ ეძახდნენ, ხოლო ფლიგელი დანარჩენი მისი  
ოთხი ქალისთვის იყო აგებული, რომლებიც აგრეთვე ოჯახო-  
ბით ჩამოდიოდნენ ზაფხულობით.

ეს ზაფხულის „თავყრილობები“ პაპაჩემის სიკვდილის  
შემდეგაც გრძელდებოდა და მაშინ ასე ვთავსდებოდით: დეი-  
და მაშა და დედაჩემი—დიდი სახლის კუთხის ოთახში  
ილია ნიკოლოზის ძე—კაბინეტში, ხოლო მე და ვალოდია—  
გვერდით ოთახში.

ვალოდიას ეს ოთახი უფრო იმიტომ მოსწონდა, რომ შიგ  
შესვლა ფანჯრიდანაც შეიძლებოდა.

ახეთივე დაკანონებული შემოსასვლელი ფანჯრიდან ფლი  
გელშიც იყო მოწყობილი, დიდ შუა ოთახში, სადაც შინ-  
ნაკეთი ქეჩაშემოკრული ბილიარდი იდგა. ჩრდილოეთის  
მხრიდან ამ ოთახში ყვავილნარის გზით იყო შემოსასვლელი  
აივნიდან, ხოლო სამხრეთიდან კი — მეორე ყვავილნარი-  
დან ფანჯრის საშუალებით, რომელთანაც პატარა კიბეც კი  
იყო მიადგმული (საბიჯელა).

ზაფხულის დღეებში ამ საბილიარდო ოთახში იყრიდა  
თავს მთელი ოჯახი.

მე და ვალოდია მ საათზე წამოვტყობდით ლოჯინიდან  
და ჩაის დალევამდე აქეთ მოვრბოდით.

ჩვენ აქ არა მარტო ბილიარდი გვიზიდავდა, რომელზეც  
მუდამ ვილაც თამაშობდა ხოლმე, არამედ ისიც, რომ აქ იმარ-

თებოდა მსგელოზა მომავალ გასეირნებათა შესახებ, აქ  
იყრიდნენ თავს საბანაოდ, ნავებზე სასეირნოდ წასასვლელ-  
ად, აქ სდგებოდა კროკეტის პარტიები; უფროსი ძმები სანა-  
დიროდ ემზადებოდნენ, შუშუნებს აკეთებდნენ და სხვა.

აქ შეაკაწიწეს ერთხელ უზარმაზარი, კარისოდენა ფრანი.  
მის ასაშვებად საგუბრის გაღმა მინდორზე გავიქეციით ყველა-  
ნი. ვალოდია იმასაც გვიჩვენებდა, პატარა ეტლი გამოაბოთ  
და ფრანი თან წაათრევსო.

გლეხის ბიჭებმაც მოიყარეს თავი ჩვენი საოცარი ფრანის  
ასაშვებად. ის, ჰაერში ავარდნილი, მართლაც გასაოცარი ძა-  
ლით ეწეოდა თოკს. ჩვენ ყველანი ჩამოვეკიდეთ თოკს,  
ჩამოვქაჩეთ და ფრანი გავტყნეთ.

### თამაშობანი

ვალოდიას ბილიარდის თამაში უყვარდა.  
ხშირად ვთამაშობდით „თითო მოთამაშეზე“, ე. ი. წაგე-  
ბული თამაშიდან გადიოდა და მეორე პარტიის დროს მხო-  
ლოდ მაყურებლად რჩებოდა.

ყველაზე ხშირად ვალოდია ბილიარდს მე მეთამაშებოდა,  
როგორც უფრო ძლიერ მოთამაშეს. ერთხელ ჩვენს შორის  
ასეთი საუბარი გაიმართა:

— რატომ თამაშობ ბილიარდს ვალოდია არდაშევგე  
(ჩვენ ბილიარდზე) უკეთ? — მეკითხება ვალოდია.

— ჰო, — ვეუბნები, — ის უფრო იშვიათად თამაშობს, ანდა  
ჩემსავით არ უყვარს ეს თამაში.

— არა, შენ ვერ შეამჩნიე: მას რატომღაც ისე არ უჭი-  
რავს ჯოხი.

— ჰო, მართლაც ეგერა: მე ჯოხს მარჯვენა ხელს ზევი-  
დან ვკიდებ, იმას კი ქვევიდან უჭირავს. იქნებ, ამის ბრალიც  
იყოს, მე კი ყურადღება არ მიმიქცევია!

ერთხელ ვალოდიას შევთავაზე, ჭადრაკი ვითამაშოთ-  
მეთქი. ის მაშინ უკვე კარგად იყო დაუფლებული ამ თამაშს.

— ვითამაშოთ, როცა კარგად გეცოდინება, — შენ კი  
არ თამაშობ, „ახტუნებ“ მხოლოდ (ესე იგი დაუფიქრებლად  
ამოძრავებო ფიგურებს).

მე მაინც ჩავაცვიდი და ვუთხარი:

— აი, მე ბილიარდს შენზე უკეთ ვთამაშობ, მაგრამ  
უარს არ გეუბნები.



— მკ უკვე შენი ნებაა,—მიპასუხა ვალოდიამ.

ცხადია, მე არც მიფიქრია უარი მეთქვა მასთან ბილიარდის თამაშზე.

ვალოდია ყოველ თამაშს დაკვირვებითა და სერიოზულად ეკიდებოდა. მას არ უყვარდა იოლი გამარჯვება, ბრძოლას ამჯობინებდა.

ვალოდიამ და მისმა დამ ოლიამ ჩვენში კროკეტის მკაცრი წესები შემოიღეს, სიმბირსკიდან ჩამოყოლილი (ისინი იქაც თამაშობდნენ თურმე). მაგალითად, ნებას არ გვაძლევდნენ ბურთი კროკეტის ჩაქუჩით დიდხანს გვეტარებია და მოკლე დარტყმასა გვთხოვდნენ. გიმნასტიკური ვარჯიშით ვალოდია მაინცდამაინც არ იყო გატაცებული, მხოლოდ ოჩაფხებზე დადიოდა კარგად, მაგრამ ამასაც იშვიათად აკეთებდა. ამბობდა, კოკუშკინოში იმით უნდა ისარგებლოს კაცმა, რაც სიმბირსკში არ არისო.

### კ ა ტ ა რ ა მ ბ ი ს ა ს

კოკუშკინოში ვალოდია მთელ დროს დასვენებასა და თამაშობაში ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ სიმბირსკში პატარაობიდანვე ბევრს კითხულობდა. წიგნები ბიბლიოთეკიდან მოჰქონდა, სადაც თავის უფროს დას ანას დაჰყვებოდა.

ერთხელ ანამ ხუმრობით მკითხა:

— კოლია, ვიამბო ვალოდიამ, როგორ დადიოდა ბიბლიოთეკაში?

— არა, არ უთქვამს. რა იყო?  
— თვითონ ჰქოიხე. საინტერესო ამბავია.

ვალოდიამ ბევრი თხოვნის შემდეგ უხალისოდ მიაბო, რომ ბიბლიოთეკაში მიმავალს ქუჩაში თურმე ბატები ხვდებოდა, რომელთაც ის აღიზიანებდა. კისერწაწვილი ბატები გამოეკიდებოდნენ ხოლმე და, როცა ეს იერიში მეტად გააფთრებულ ხასიათს იღებდა, მაშინ ზურგზე წვებოდა და ფეხებით იტყვიებდა ბატებს.

— რატომ ჯოხით არა?—ვკითხე მე.

— ჯოხი ხელთ არ მქონდა. თუცა ეს ყველაფერი სისულელეა და თანაც თითქმის ორი წლის უკან იყო.

ბუნებით საოცრად ცოცხალი და ცელქი ვალოდია არც მე და არც სხვა ბიჭებს არასოდეს წაგვჩხუბებია. ვისაც ხასიათით ვერ შეეგუებოდა, იმას უსიტყვოდ ჩამოშორდებოდა. ან რა სალაპარაკოა: იმას თავის ტოლებთან არასოდეს მოსვლია ჩხუბი და ცემა-ტყეპა, თუმცა რაიმე აზრის მტკიცებისას მულამ ძალიან ცხარედ კამათობდა ხოლმე.

ვალოდიას თავი ძალიან უბრალოდ და ბუნებრივად ეჭირა, პირველობასაც არასოდეს ჩემულობდა. ეს პირველობა, ასე ვთქვათ, თავისთავად ვლინდებოდა და ამიტომ არც არავის სწყინდა და არც არავის შურდა, მხოლოდ მისაბამ მაგალითის წარმოადგენდა ჩვენთვის.

იგი ძალზე მომხიბლავი ბუნების პატრონი ზნე და მისი ლას გულს ინადირებდა.

### ბ ა ნ ა მ ა

მხიარულად რაკუნობს წისკვილი, ზუილით ირევინ ბუზები, ივლისის პაპანაქება დღეა. მდინარიდან ბავშვების მხიარული უვილი და კისკისი ისმის.

ჩვენი ყველაზე დიდი სიამოვნება—ბანაობაა, დილიდან საღამომდე ბანაობა.

— შენ რამდენჯერ იბანავ დღეს, ვალოდია?

— სამჯერ. შენ?

— უკვე მეხუთჯერ.

ხშირად დღის ბოლოსთვის ასეთი ბანაობის რიცხვი ბიჭებს ათამდე დაეთვლებოდათ.

ვალოდიას, მე და სხვა ბიჭებს—ყველას პატარაობიდანვე გვიყვარდა წყალი და, რაკი ცურვა არ ვიცოდით, მეჩხრა აღვთვებოდა ვეკუშპალობდით, ნაპირსა თუ ბოვირთან ან კიდევ საბანაო როფში. უფროსები ბაყაყებს გვეძახდნენ, წყლის ამმღვრეებს. ეს შეურაცხმყოფელი და უპატივცემული სახელი სწორედ ძალიან გვწყინდა.

მასხოვს, მე, ვალოდიამ და ერთმა ჩვენმა ტოლმა როგორ ვისწავლეთ ერთ ზაფხულს ცურვა. საერთოდ, 7—8 წლის ასაკში ყველა ბიჭს შეეძლო უკვე პატარა მდინარის გადაცურვა, ხოლო თუ მეორე ნაპირიდან დაუსვენებლივ უკან დაბრუნდებოდა, მაშინ კარგ მცურავად ჩაითვლებოდა კიდევ. როცა პატარა მცურავი მდინარეს პირველად გადაცურავდა, მას მულამ ვინმე მოზრდილთაგანი ახლდა. მაგრამ ცურვის კურსი ამით როდი მთავრდებოდა—ჩვენ სულ ვაუმჯობესებდით და ვაუმჯობესებდით ცურვის კლასს: უნდა გვესწავლა ზურგზე წოლა, გამოქცევით თავქვე გადმობტომა, ჩაყვინთვა და ფსკერიდან ერთი მუჭა შლამის ამოღება; საბანაოს სახურავიდან ჩახტომა; მდინარის გადაცურვა ისე, რომ ცალ ხელში წინდები და წაღები გვეჭროდა და არ დაგვეხველებინა ისინი; დაუსვენებლივ გადაცურვა მდინარის შესართავამდე, რომელსაც ჩვენ მწვანე ვარდების შენაკადი დავარქვით (რადგან იქ იზრდებოდა ჭაობის მცენარეები, რომლებიც მოყვანილობით ვარდებს მოგვაგონებდნენ), ან მეზობელ სოფლის ჩერემიშევო-აპოკავევს ხილამდე, რაც თითქმის კილომეტრს უდრიდა.

ამ სოფლის ქოხები კოკუშკინოსკენ მიმავალ გზაზეა ჩამჭკრივებული. კოკუშკინოსთან უფრო ახლოს მდებარე ნახევარი რუსი მოსახლეობისაგან შერდებოდა, მეორე ნახევარი კი—თათრებისაგან. იქნებ ამიტომაც ჰქვია მას აპოკავევი? აპოკავი თათრულად დანას ნიშნავს.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა შ ე მ დ ე გ ნ ო მ ე რ შ ი)


**ღ ე ნ ი ნ ის  
ს უ რ ა თ თ ა ნ**

პირობას გაძლევთ ვისწავლით,  
სულ ბეჯითები ვიქნებით,  
თქვენი მზით გაგვნათებია  
მგზნებარე გულის ფიქრები.

გულადი ლენინელები  
წინ მედგრად მივემართებით.  
თქვენ არწივი ხართ მთებისა,  
ჩვენ—პაწაწინა მართვენი.

**ო ტ ა რ ა კ ა რ ა**





### 3. ი. ლენინის მუზეუმი

გლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა და მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრი კერაა. მუზეუმის 24 დარბაზში გამოფენილი დოკუმენტები ასახავენ კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლისა და დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებას და რევოლუციურ მოღვაწეობას, აგრეთვე ბელადების ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის დიად თანამეგობრობას, კომუნისტური პარტიის გმირულ წარსულს.

მუზეუმის დასათვალისწინებლად უწყვეტ ნაკადად მოდიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები — სტანანოველი მუშები და მრავალდაზოგადი ოსტატები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კოლმეურნეები, ძლევაშოსილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა, პიონერები, დიასახლისები; მოდიან მთელი ოჯახებიც. მარტო 1954 წელს მუზეუმი 100 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ლენინის იდეების საგანძურში პოულობენ საბჭოთა ადამიანები ახალ ძალებს, რათა იბრძოლონ და იზრდონ იმ საქმის სრული გამარჯვებისათვის, რომელსაც უკვდავმა ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

მუზეუმის შესასვლელში, მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილია ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის სიტყვები, რომელიც დაწერა ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი.


ებრძოდეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს, დასძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად.

არასოდეს არ სთქვათ უარი მცირეზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი.“

პირველ დარბაზში გამოფენილია ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებთან დაკავშირებული სურათები და ფოტომონტაჟები. აი, ქალაქი სიმბირსკი (ამჟამად ულიანოვსკი), სახლი, სადაც 1870 წლის 22 აპრილს დაიბადა ვ. ი. ლენინი. აქ არის ულიანოვების მთელი ოჯახის ჯგუფური სურათი, ვიტრინებში გამოფენილია წიგნები, რომლებსაც ლენინი გატაცებით კითხულობდა ყრმობისა და ჭაბუკობის წლებში. მათ შორის არის კ. მარქსის „კაპიტალი“, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწარმოებები, ნ. ნეკრასოვის ლექსები, შექსპირის ტრაგედიები და სხვ.

აქვეა ვ. ი. ლენინის მიერ გიმნაზიაში მიღებული ერთ-ერთი ქების ფურცელი, სიმწიფის ატესტატი და ოქროს მედლის იმიტაცია. მრავლისმეტყველია რეპროდუქცია მხატვარ ვ. სტამკოვის სურათიდან „ალექსანდრე ულიანოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ.“ სურათზე მოჩანს ლენინის თვალცრემლიანი დედა — მარია ალექსანდრეს-ასული, მას გვერდით უდგას ახალგაზრდა ვალოდია — მრისხანებით აღსავსე თვა-



ლენინი — გიმნაზიელ, 1887 წ.

ლებით. ამავე პერიოდს ეკუთვნის ლენინის სიტყვები „არა, ჩვენ ასეთი გზით არ წავალთ. ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ.“

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1887 წელს, ლენინი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 1887 წლის 4 დეკემბრის გამოსვლაში, რისთვისაც უნდადარმერიამ იმავე ღამეს დააპატიმრა. ამის შესახებ მოგვითხრობს მხატვარ პ. ალიაკრინსკის სურათი „ი. ლენინი სტუდენტთა კრებაზე ყაზანის უნივერსიტეტში, 1887 წლის დეკემბერში.“ აქვეა წარმოდგენილი დაპატიმრების წინ ლენინის მიერ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე დაწერილი თხოვნის ფოტოკოპირი, რომელშიც ლენინი ჰგმობდა უნივერსიტეტში გაბატონებულ რეაქციულ რეჟიმს და მოითხოვდა იგი ამოეშალათ სტუდენტთა სიიდან. ეს თხოვნა კი არა, მძაფრი პროტესტი იყო მეფის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ.

დარბაზში დგას ქანდაკება „ლენინი ბავშვობაში“ და ულიანოვების სახლის მაკეტი. აქვე გამოფენილია კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, გამოცემული 1848 წელს გერმანულ ენაზე, და „მანიფესტის“ 1906 წლის რუსული თარგმანი.

„ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის...“  
ს. სულისკვეთებით ცოცხლობს და ზიარობს ციფლიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი — წერდა ლენინი. სტალინმა კი „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ „მარქსიზმის ქებათა ქება“ უწოდა.

მომდევნო დარბაზში გამოფენილი დოკუმენტები ასახავენ ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

დარბაზში დგას სახლის მაკეტი, რომელშიც 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, გენიალური ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, მისი უკვდავი საქმის დიდი განმგრძობი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. დარბაზში გამოფენილია სურათები: „გორის საერთო ხედი მე-19 საუკუნეში“, „ი. ბ. სტალინი 1893 წელს“, ი. ბ. სტალინის დედის — ეკატერინე გიორგის-ასულის პორტრეტი. ფოტო — გორის სასულიერო სასწავლებლისა, სადაც 1888 წელს შევიდა ახალგაზრდა სტალინი. იქვე გამოფენილია მოსწავლე სოსოს ნიშნები და 1895—96 წლებში დაწერილი პირველი ლექსები, რომლებიც გამოქვეყნდა იმდროინდელ პერიოდულ ყურნალ-გაზეთებში სოსელას ფსევდონიმით. ამავე დარბაზშია ი. ბ. სტალინის თანამებრძოლების, — მარქსისტების: ალექსანდრე წულუკიძისა და ლადო კეცხოველის პორტრეტები.

მუზეუმის ექსპოზიცია მკაფიოდ გვიხატავს ვ. ი. ლენინის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ათეულ წელს. 1893 წელს ახალგაზრდა ლენინი პეტერბურგში ჩავიდა, სადაც აქტიური ბრძოლა გააჩაღა ნაროდნიკების წინააღმდეგ.

მუზეუმის მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს ლენინური „ისკრის“ პირველი ნომრის დედანი, რომელიც 1900 წლის დეკემბრით არის დათარიღებული. ლენინური „ისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან ერთ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ ამიერკავკასიაში სტალინის ინიციატივით იწყო გამოსვლა პირველმა არაღეგალურმა ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც თანმიმდევრულად ატარებდა ლენინური „ისკრის“ იდეებს. მუზეუმში ექსპონირებულია გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომრების დედნებიც.



ვ. ი. ლენინი სტუდენტთა კრებაზე ყაზანის უნივერსიტეტში, 1887 წლის დეკემბერში.

დაცული დოკუმენტები მოგვითხრობენ, თუ როგორ მტკიცე და თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდა ლენინი მარქსისტული პარტიის შესაქმნელად პარტიის მე-2 ყრილობაზე.

უდიდეს ინტერესს იწვევს ექსპოზიციაში გამოფენილი ფოტოპირი შენიშვნებისა, რომლებიც ლენინს ყრილობაზე გაუკეთებია კამათის დროს, პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირების საკითხზე. გაშლილი ფურცლის მარჯვენა მხარეს ლენინი წერდა მარტოვის სიტყვებს, მარცხენა მხარეს — თავის მოსაზრებებს მათ წინააღმდეგ. მგზნებარე, ცხარე ბრძოლა, მწვავე დაძაბულობა, ლენინის გონების მძლავრი ძალა აღბეჭდილია ამ ამაღლებებელ ჩანაწერებში. პასუხად მარტოვის წინადადებისა — პარტიაში შესვლის საშუალება მისცემოდა ყველა მერყევი, არა პროლეტარულ, შემთხვევით ელემენტებს — ლენინს ჩაუწერია:

„მოლაყბეთა და მომუშავეთა გარჩევა: უმჯობესია 10 მომუშავეს არ ვუწოდოთ პარტიის წევრი, ვიდრე 1 მოლაყბეს ვუწოდოთ.“ და შემდეგ:

„ვიმეორებ, ცენტრალური კომიტეტის ძალა და ძალაუფლება, პარტიის სიმტკიცე და სიწმინდე — აი რა არის არსი.“

თავის სიტყვაში პარტიის წესდების განხილვისას, რომლის ჩანაწერის ფოტოპირი მუზეუმშია, ლენინმა ჩამოაყალიბა თავისი შესანიშნავი დებულებანი პარტიის შესახებ, პარტიის წევრის წოდების შესახებ, დებულებანი, რომლებითაც ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია.

როცა მუზეუმში წარმოდგენილ დოკუმენტებს ათვალიერებთ, თვალნათლივ ხედავთ, თუ რა გიგანტური გზა განვლო ჩვენმა პარტიამ მეორე ყრილობის შემდეგ, რა მტკიცედ იბრძვის მშობლიური კომუნისტური პარტია თავისი რიგების დარაზმულობისა და ბრძოლისუნარიანობისათვის.


ექსპონირებული ისტორიული დოკუმენტები უდიდესი ძალით ცხადყოფენ, თუ რა გაბედულად და მტკიცედ, რა წინდახედულად მიჰყავდათ რევოლუციის დიდ ბელადებს, ლენინსა და სტალინს, პარტია და მუშათა კლასი სოციალისტური რევოლუციის, შეიარაღებული აჯანყების განსახორციელებლად, როგორ შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო.

მუზეუმში წარმოდგენილია ლენინისა და სტალინის მიმოწერის ფოტოპირები. ყველა წერილში ნათლად იგრძნობა რევოლუციის ამ ორი ბელადის დიდი თანამეგობრობა, განუზომელი და უღრმესი ურთიერთ სიყვარული.

სამგლოვიარო დარბაზში გამოფენილი ექსპონატები ცხადად მეტყველებენ იმ ღრმა მწუხარებაზე, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი ლენინის გარდაცვალების გამო.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ცალკე დარბაზში შეკრებილი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა ტომები, გამოცემული მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე. ისინი მოწმობენ ლენინიზმის იდეების გავრცელებას მსოფლიოს ხალხებში.

მუზეუმის დარბაზებში მრავლადაა ფერწერის, ქანდაკებისა და ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც მოგვითხრობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ისტორიის გამრულ დღეებზე, დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მოღვაწეობაზე.



ი. ბ. სტალინი კითხულობს გაზეთ „ისკრას“  
სურათი მხატვ. ნ. უსუკოვისა.

გასულ წელს მუზეუმში შეივსო ახალი ექსპონატებით. მათ შორის არის მოქანდაკების ვ. ისაევსა და რ. ტაუროტის მონუმენტური სკულპტურული კომპოზიცია „მუშები კითხულობენ გაზეთ „პრავდას.“

ექსკურსანტებს მუზეუმის კინოდარბაზში უჩვენებენ დოკუმენტულ ფილმს ვ. ი. ლენინის შესახებ.

შთაბეჭდილებათა წიგნები სავესტა პატრიოტული ჩანაწერებით; ამ ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი ჩვენი ხალხის ნდობა და სიყვარული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. მათში იგრძნობა საბჭოთა ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილება — მთელი შეგნებით, ძალღონის დაუზოგავად იბრძოლონ ლენინ-სტალინის დიადი, უკვდავი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

### შ. გომიქა,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორი.

# სამხალისო ღმერთები

ვახტანგ გორგაძელი

## მოდით, ძვირფასო ბავშვებო

მოდით, შემოკრებით, ბავშვებო,  
ერთუროს მოვხვიოთ ხელი,  
ამ სიყვარულში გათენდეს  
ჩვენი ახალი წელი!

მოდით, შევძახოთ სიმღერა,  
დროშა ავწიოთ მაღლა,  
ახალ წელს უყვარს დიმილი,  
ჩვენც გავდივით ლაღათ.

ჩავუთქვათ დიდი სურვილი,  
ჩვენი უსაზღვრო ნატვრა.  
ეს მეგობრობა ნამდვილი  
მუდამ ურყევად გასტანს.

ოცნებამ ფრთები გაშალოს  
შომაველის გზად და ხიდად.  
ჩვენ მშვიდობისთვის ვიბრძოდით,  
კვლავაც მშვიდობა გვინდა.

მოდით, შემოკრებით, ბავშვებო,  
ახალი წელი მოდის.  
კვლავაც ავივსოთ სიმღერით,  
სიკეთით, ლხენით, ცოდნით.

მოდით, შემოკრებით, ბავშვებო,  
ერთუროს მოვხვიოთ ხელი,  
ამ სიყვარულში გათენდეს  
ჩვენი ახალი წელი!

გურამ კლიაშვილი


## კეთილ იყოს მისი მოსვლა!

შემოვიდა რიხიანად,  
სიმღერებით შემოვიდა,  
სიხარულის ხმები ისმის  
ყველა ეწო-შენობიდან.

გზა დავუთმეთ ფეხბედნიერს—  
ერთხმად წამოვიშალენით.  
შემოვიდა ხვავ-ბარაკით,  
არც ჩვენ დავხვდით პირშავები.

ეს ისეთი წელი არის,  
ცოტას როდი დავჯერდებით, —  
მოგვიტანა სიყვარული,  
დავხვდებით ათჯერ მეტი.

ეს ისეთი წელი არის,  
აგვაყვავებს, გავგახარებს,  
ცას ვარსკვლავს არ გამოუღივებს,  
სახლში დოვლათს დაახვავებს.



კეთილ იყოს მისი მოსვლა  
ჩვენდა გულის საიზელოდ,  
გზა-მშვიდობით შემოსულმა,  
სულ მშვიდობა დაგვიბედოს.

... განა მარტო მისთვის გვიყვარს  
ახალი წლის მობრძანება,  
რომ ნაძვის ხის მოსართავად,  
მოსაკაშმად მოგვცა ნება?!

განა მარტო მისთვის გვიყვარს,  
რომ დავიდგამთ ჩიჩილაკებს,  
თოვლის პაპას შევცუქროდეთ  
ახალ წელს რომ გვიჩირაღდნებს!

კიდევ მითომ გვიყვარს იგი  
და ჩვენც უნდა ვამაყობდეთ,  
რომ ეს წელი კომუნისმთან  
ერთი წელით გვაახლოვებს.



კობა მასხი

ნახ. ღ. ხახუტაშვილისა

# გეგობრის ვაჟი

ვეებერთელა სტადიონის იარუსები ხალხით იყო გაჭედვლილი. მაყურებლები დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს სომხეთისა და საქართველოს რჩეული ჭაბუკების ასპარეზობას სიმაღლეზე სტომაში. შეჯიბრი ძირითადად დამთავრებული იყო, მაგრამ ორ მეტოქეს შორის ჯერ კიდევ საეჭვო იყო რომელს ერგებოდა გამარჯვება.

და აი, მსაჯმა გამოაცხადა, რომ ასორმოც სანტიმეტრ სიმაღლეს აიღებდა სომეხი ჭაბუკი გურგენ პირუმინი. ჩალის ქუდებით გადაბენტილი იარუსები გაირინდა. ათასობით თვალი მიაჩერდა შავგვრემან ჭაბუკს. იგი ოდნავ მოიხარა წელში, ჯერ ნელი, მოზომილი ნაბიჯებით წავიდა სასტომი სვეტებისაკენ, შემდეგ უცბად გაიშალა მხრებში და გაქანდა. გურგენი რეზინის ბურთივით ავარდა პაერში, თითქოს ზამბარებიანი ტრამპლინიდან ისკუპაო, პაერშივე შემოტრიალდა და მსუბუქად დაეშვა სილაზე.

ძელი არ ჩამოვარდნილა... სიმაღლე აღებუღია... ტაშმა იქუხა იარუსებიდან. ყველა გამარჯვებას ულოცავდა ჭაბუკს. როცა აპლოდისმენტები მინელდა, მსაჯმა გამოაცხადა: ამავე სიმაღლის ასაღებად ქართველი ახალგაზრდა მძლეოსანი თენგიზ კობალაძე ემზადებოა.

მოედანზე გამოვიდა ხმელხმელი, კუნთმაგარი ახალგაზრდა. სპორტსმენის სხეული ბრინჯაოსფერად ელავდა მახათის მთისკენ გადასრილი მზის სხივებზე.

- როგორ გგონია, გვასახელებს?
- ძნელი სათქმელია, ვნახოთ! — ისმოდა აქეთ-იქიდან მაყურებლების ლაპარაკი.
- შენი ჭირიმე, ბიჭო! ნამდვილი არწივია! ხედავ, როგორ გაქანდა, როგორ მიჰქრის...

ქართველი სპორტსმენიც სუფთად გადაეგლო ძელს.

- ვაშა, ვაშა, თენგიზ! — ისევ იგრილა იარუსებმა.
- დაძაბული ყურადღებით მოძლილ მაყურებლებში მარაოები გამოჩნდა. ზოგი ხელით იჩრდილავდა შუბლს, ბევრს გაზეთებისაგან გაკეთებული სამკუთხა ქუდი ეხურა, რათა თავი მოერიდებინა მზის მწველი სხივებისათვის.

მსაჯმა სიმაღლე ხუთი სანტიმეტრით გაადიდა. ჭაბუკები კვლავ მოემზადნენ ბრძოლისათვის.

- აბა, ახლაა საქმე, თორემ წელან რა იყო!
- ნუთუ ისევ ორთავენი აიღებენ ამ სიმაღლეს?! — ხელეზის ფშვნეტიტ და ნერვიული ცმუტვით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს თენგიზის სკოლის ამხანაგები.

ბევრმა სანაძლეო დასდო: ზოგი ამბობდა, თენგიზი კიდევ უფრო მეტ სიმაღლესაც აიღებო, ზოგი კი გურგენზე ამყარებდა იმედს.

მობდა ის, რასაც არავინ არ ელოდა. ორთავე ჭაბუკი კვლავ სუფთად გადაეგლო ძელს.

ასე დასრულდა სპორტული შეჯიბრება სომხეთისა და საქართველოს რჩეულ სპორტსმენ ჭაბუკებს შორის.

გამარჯვებულები მქუხარ ტაშით გააცვილეს მაყურებლებმა გასასვლელისაკენ. გურგენი და თენგიზი მხარდამხარ მიდიოდნენ, მათ ერთად ჩაირბინეს კიბეები და თქიშინა შხაპშიაც ერთად შეცვიდნენ. ჭაბუკები თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს, ორთავეს აკვირებდა მათი ძალების თანაბრობა.

— გაიგე, გურგენ თურმე რას ამბობენ ჩვენზე? მოლაპარაკებულები არიანო უთუოდ, — სიცილით უთხრა თენგიზმა თავის მეტოქეს.

— აბა, რას იტყვიან, განა შენ კი არ გიკვირს, ძმობილო? მართლაც საკვირველია. — ამბობდა გურგენი. ცივი წყლის სვეტს თქაფუნე გაუდიოდა მის ბრკე მხრებზე ღირღილით ჩასდიოდა წყალი ილიეებსა და გვერდებზე.

— იცი, რა გითხრა, გურგენ, დღეს ჩემთან წამოდი. მამაჩემს, როგორც ძველ სპორტსმენს, ჩვეულებად ჰქონდა თავისი სპორტული მეტოქის შინ მიწვევა. წამოხვალ ჩემთან?

გურგენმა პირში დაგუბებული წყალი თქორივით გამოისცრა ბრტყელი თეთრი კბილებიდან და მშვიდად უთხრა:

- უნებართვოდ ვერ წამოვალ. ხელმძღვანელს უნდა შევაცუობინო.
- მაშ, თუ ასეა, ერთად მივიდეთ, ორთავემ ვთხოვოთ, კარგი?



ჭაბუკები ჩაცმას შეუდგნენ.

გართ რომ გამოვიდნენ, სტადიონზე უკვე საგრძნობლად შეთხლებულყო ხალხი. გახსნილი რკინის კარები თითქოს გოლიათური ძალით იწოვდა ხალხის გაუთავებელ ნაკადს.

— აი, ისინი, წელან სიმაღლეზე ხტომაში რომ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— ნახე, ნახე, როგორ წყვილად მიდიან, — ესმოდათ გურგენსა და თენგიზს თავიანთი ტოლების მორიდებული ლაპარაკი.

ჭაბუკები ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ლარივით გაჭიმულ პროსპექტს. ისინი სტუკებოდნენ ლამაზი ქუჩის მშვენიებით, მის ორსავე მხარეზე ჩაყოლებული ერთი სიმაღლის ხეებით, რომელთა კენწეროებს ოქროსფრად მოჰფენოდა ჩამავალი მზის ჩქარალი.

— მოგწონს თბილისი, გურგენ? — ჰკითხა თენგიზმა.

— ძალიან მომწონს. ბირველად ვარ თბილისში და უკვე შემეყვარდა...

— ამას წინათ ერევანი გნახე კინოქრონიკაში. თქვენი ქალაქიც კარგია... ძალზე მომეწონა.

თენგიზმა მკლავში მოკოდა გურგენს ხელი.

— აი, აქა ვცხოვრობ, შევიდეთ სახლში, შენმა ხელმძღვანელმა ხომ ოთხი საათის ვადა მოგცა.

გურგენს არაფერი უთქვამს საპასუხოდ და უხმოდ მიჰყვა თავის ახალშექნულ მეგობარს.

სამსართულიანი სახლის წინ მშვენიერი ბაღი იყო გადაშლილი. ტანაშოტკილი კვიპაროსები ოდნავ ტოკავდნენ ნიაგზე. ეზოში იჯდა ორმოციოდე წლის წარმოსადეგი კაც; ახალგაზრდები რომ დაინახა, სახე გაუბრწყინდა და მოციალე თვალებით მიესალმა მათ.

— შვილო, თენგიზ, შენი წარმატებები რადიოთი მოვისმინე. ძალზე საინტერესოა ჩემთვის ის ახალგაზრდაც, ცალი რომ არ დაგიგდო.

— აი, სწორედ ის ჭაბუკი უნდა გაგაცნო, — უთხრა თენგიზმა და მამას გურგენი წარუდგინა, — იცნობდეთ.

— სასიამოვნოა, ჩემო ბიჭო, თქვენც სულით და გულით მოგილოცავთ წარმატებას, — დანჯად მიმართა გურგენს თენგიზის მამამ და დასძინა: — ჩამოჯექით, შვილებო, ჯერ კიდევ ცხელა, ბაღში გვირჩენია...

ყმაწვილები ტოტებჩამოშლილ ძეწნის ქვეშ დასხდნენ მრგვალ მაგიდასთან და ორთავე მას შეაცქერდა.

— გული მწყდება, რომ სტადიონზე არ წამოვიდი... საიდან ხართ, რომელი ქალაქიდან? — ჰკითხა გურგენს თენგიზის მამამ.

— ერევნიდან გახლავართ, — ზრდილობიანად მიუგო ახალგაზრდამ, რომელც ისე მორცხვობდა რომ ხმამაღლა ლაპარაკიც ვერ გაებედნა.

— ეხ, ჩემო შვილო, სომეხი ხალხი კარგი ხალხია, აი, თენგიზისათვის ხშირად მიამზნია ერთი ჩემი ფრონტელი მეგობრის შესახებ. მისი სახე არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან... ვაჟკაცურად დაიღუბა...

გურგენმა თავი ჩალუნა. სიწითლემ გადაჰკრა შავკერძის ყვრიმალეზე. თენგიზის მამა კი განაგრძობდა:

— საღამო ვამი იყო ფრონტზე ჩვეულებრივი მაცდური სიჩუმე სუფევდა. ახალი გაზაფხულის სურნელი იდგა ირგვლივ. ჩვენი სანგრების გასწვრივ ახლად აყვავილებული აკაციის ხეები ირწოდა. ჰაერი სუფთა იყო და გამჭვირვალე. მზის სითბო სასიამოვნოდ გვივილიდა ძარღვებში. ყველას რაღაც განსაკუთრებულად გვიხაროდა სიცოცხლე... წყალი მომწყურდა. სანგრებიდან ამოვიდი და იქვე მოჩუხჩუხე პატარა დელისკენ გავიქეცი წინ წახრილი. ის იყო წყაროს ტუჩი შევახე და თოფავც იქეპა. ფაშისტმა სნაიპერმა არ დამაცალა! — მხარში მომხვდა ტყვია. თვალთ დამიბნელდა და გონს მამის მოვიდი, როცა მეგობარმა ჭრილობა შემეხვია და წყალი მასხვოდა...

— ეხ, — ამოიხრა თენგიზის მამამ და კვლავ განაგრძო, — ყოველი რიგზე იყო; მე უკვე სანგარში ჩამიშვა და უვნებელი ვიყავი. ახლა ჩემი მშველელი უნდა ჩამოხონებულყო. სწორედ ამ დროს მეორედ გავარდა თოვი. მტრის ტყვიამ იმ საწყალს წარბებზე გაუარა. უხმოდ დალია სული. თუმცა მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ სანამ შუბლზე არ ვემბორე, უფი არ მოვიცვალე... იმ დღის შემდეგ კიდევ უფრო შემეყვარდა სომეხი ხალხი. ყველა სომეხში ჩემი დაუვიწყარი მეგობრის სახეს ვხედავ...

— მამაჩემიც ფრონტზე დაიღუბა, — ჩურჩულით თქვა გურგენმა.

თენგიზის მამა გაჩუმდა. იგრძნო რომ სტუმარი შეწუხდა ნაანზობით.

ერთხანს სდუმდნენ. მზე ჩავიდა. ჩამუქდა სახლის ფანჯრები. თენგიზის დედამ ყველანი სახლში მიიბატიყა. დიდ ოთახში გაეშალა სუფრა დიასახლისს. გურგენი საწერ მაგიდასთან შედგა და თვალმოუშორებლად დააშტერდა მინის ქვეშ ამოდებულ სურათს.

— ეს სურათი თქვენთან საიდან გაჩნდა? — განცვიფრებით იკითხა გურგენმა.

— როგორ თუ საიდან! ევ სურათილა დამრჩა ჩემი მეგობრის მოსაგონრად. ზრძოლის წინ გადაგიღო ერთმა სამხედრო კორესპონდენტმა.



გურგენი თავჩაქინდრული ჩაეშვა სავარძელში. იგი სდუმდა. მის სახეზე განცვიფრება იყო აღბეჭდილი. წარბები შუბლისკენ ჰქონდა აზიდული. გურგენი მალე გამოერკვა, გაფითრებულ სახეზე რამდენჯერმე მოისვა ათრთოლებული ხელი.

— რაშია საქმე, ცუდად ხომ არა ხარ, შვილო? — შემფოთებით ჩასძახოდა ჭაბუკს დიასახლისი.

— არაფერია, ყოველივეს გეტყვით. — უთხრა გურგენმა ოჯახის უფროსს, — იმ ფოტოზე, თქვენს გვერდით რომ დგას, მამაა ჩემი. ასეთი სურათი გამოგვიგზავნა მან 1943 წელს და სახლში გვიკლია.

— შვილო, ჩემო შვილო, საყვარელო შვილო! — ხმამაღლა დაიძახა თენგიზის მამამ და გურგენი მაგრად ჩაიკრა გულში.



მოთარ ჩიჯაპაძე

ნახ. ალ. ბანძელაძისა

# ზვიგენის კვიდი\*

იმ დღეს, როდესაც უზარმაზარმა ზვიგენმა შესცვალა მთელი მისი ცხოვრების გზა, ალი 13 წლისა იყო. შიშველი ფეხები მაგრად ჩაებჯინა მზისა და წყლისაგან გაშავებულ პატარა ნავის ფსკერზე და მთელი ძალღონით უსვამდა ნიჩბებს. დაკონკილი სამკუთხა იალქანი საცოდავად ეკიდა და ნავის თითოეულ ბიძგზე ქანაობდა.

„დღეს ძალიან ეცხელება!“ გაიფიქრა ალიმ და სიყვარულით დახედა ფეხით მძინარე თავის უფროს ძმას. ნიჩბების შეუჩერებლად, ხან ერთი და ხან მეორე ფეხით ცდილობდა ძმისთვის მოეშორებინა ახირებული ბუზები, რომლებიც სწრაფად უბრუნდებოდნენ ძველ ადგილს. რჩაბებთან, წელწვრილი და მართოლვარე კუნთებიანი ჭუსენი ნავის ფსკერს თითქმის მთლიანად ავსებდა.

ალიმ შეწყვიტა ნიჩბების მოხმა, გულმოდგინედ გაისწორა ერთადერთი ტანსაცმელი—თქმებზე შემოკრული ჩითის ნაჭერი, კიდევ უფრო ძლიერად გაიჭირა ქამარი და, თითქოს შემთხვევით, შეამოწმა სწორად ეკიდა თუ არა მარჯვნივ მეზღვაურის დიდი დანა. ყველა ოცნება შესრულდა! ალი ახლა უკვე ღრუბლების ნამდვილი მძებნელია, თანაც ზვიგენისა და რვაფეხას თავდასხმისაგან დასაცავად დანაც აქვს! ახლა იგი აღჭირდულ ამხანაგებს რომ დაენახათ, ალბათ შურისა და პატივისცემის გრძნობისაგან ყურები გაუწითლდებოდათ. აფსუს, წვერულდაში არა აქვს, თორემ ალიც ჭუსენით ამ დანით უსაპნოდ გაიპარსავდა ხოლმე. ჭუსენი ამბობს, — უსაპნოდ პარსვა

სახეს ათერთბსო... და რაც თეთრია ადამიანი, ხომ მით უფრო მეტი ფასი აქვს...

ალიმ დანაზე ხელის შეხების მწველი სურვილი ძლივს დაიოკა, აღმაცრად დახედა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო, როგორც ეს უფროსს შეეფერება და კვლავ ნიჩბებს მოკიდა ხელი. ალის პირდაპირ სანაპიროს რუხი ზოლი თანდათან მცირდებოდა; მარცხნივ ოდნავდა მოჩანდა ნაპირი, მარჯვნივ კი არაბული მრუდე ხმლის მსგავსად ვიწრო ქედით ზღვისკენ უხვევდა.

აგერ იქ, იმ ყურეში უნდა მოგებოვბინათ ღრუბელი.

ჭუსენმა მძიმედ ამოიხორა და ზურგზე გადატრიალდა. დახვეულ თოკზე დადებული დიდი ქვა ფეხის გამლის საშუალებას არ აძლევდა.

„ნეტავ ჯერ არ გამოიღვიძებდეს!— გაიფიქრა ალიმ.—საწყალი, ისეა დადლილი და ისიც ჩემი გულისთვის. სხვები რიგრიგობით ყვინთავენ ხოლმე... ისინი ყოველთვის ორნი არიან, მე კი თავი ძალად წამოვყვანიე... ამდენი ასეული კილომეტრი გამომატარა, წამომიყვანა და ყვინთვის ნებას კი არ მაძლევს“.

ალიმ კვლავ მოითქვა სული, საქმიანად გაისწორა დანა, თვალებში მზისაგან ხელით მოიჩრდილა, რომ შემომოქმედინა, სწორად მიდიოდა თუ არა.

ძმები დღეს იგვიანებდნენ. ყურეში უკვე ბევრი ნავი იდგა. ზოგი მათგანი სიშორისაგან პაწაწკინტულად მოჩანდა, მაგრამ ყველა, მათ შორის ახლოს მყოფიც, გაჩერებულიყო და ტალღებზე ირწვოდა. მასხადამე, ღრუბლების მოპოვება უკვე დაეწყო.

გუშინ ჭუსენი შინ გვიან დაბრუნდა და თანაც ძლიერ მივრალი იყო. ალი,

რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, დალოდებოდა ძმას, იჯდა მიწურის ძველ ტომარჩამოკიდებულ კარბთან და შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. იგი ფიქრობდა თუ როგორ ხდება, რომ ადამიანი შეიძლება აფრინდეს ისე შორს ცაში და გადაიქცეს ასეთ პატარა ბრწყინავ ვარსკვლავად. შემდეგ დაიწყო ოცნება, რომ გახდება მფრინავი, აფრინდება მაღლა, სულ მაღლა, იფრენს იმ ვარსკვლავებს შორის და იპოვის თავის მამას, რომელიც შარშან ალჟირის ნავსადგურში ამწეებიდან მოწყვეტილმა მორმა გასრისა; თვალების ფშვინებით დაუწყო ძებნა მამის ვარსკვლავს, მაგრამ ვარსკვლავები რაღაც ბურუსში აირია, თითქოს დაშორდნენო, და ბიჭს ჩაეძინა.

ალი ჭუსენისა და მისი მთვრალი ამხანაგების გინებამ გამოაღვიძა; ისინი მთელი შესაძლებლობით ლანძღვდნენ ღრუბლების შემსყიდველ ბატონ რენარს; მთვარის შუქზე ალი ხედავდა მათი ხელების ქნევას, რომელთა თითოეული მოძრაობა ბატონ რენარს, სულ ცოტა, უღმობელ სიკვდილს უქადდა.

ალი მიუახლოვდა მათ. ჭუსენი მსწრაფლ გაჩუმდა, რადგან არცერთი არაბი არასოდეს არ იგინება თავისი ძმის თანდასწრებით.

— შენ ჯერ კიდევ არ გძინავს?— გაეხარა ჭუსენს, ალის შავ ხუტუჭ თმებში ჩაავლო ხელი და მკერდზე მიიკრა.— აი, რა მოგიტანე!— იღლიაში ამოდებული ჰქონდა ქალაღში შეხვეული რაღაც ნივთი.

— მხოლოდ ერთი პირობითი... შენ არასოდეს არ დაიწყებ ამ წყუელი ღრუბლის მოპოვებას!— უთხრა ჭუსენმა და ალისთან ერთად მიწურისაკენ გასწავა.

მთვრალმა ამხანაგებმა ისევ ლანძღვითა და ხელების ქნევით განაგრძეს გზა. ალიმ ქალაღი გახსნა და ხელში შერჩა ტყავის ქარქაშში ჩადებული მეზღვაურის გრძელი დანა. ამოიღო ქარქაშიდან და მთვარის შუქზე მოლურჯო ფერად ალაპლაპდა მარჯვე ოსტატის ნახელავი, სამართებელივით პირბასრი დანა.

— აბა, მაძლევ ამის პირობას?!

ალიმ საჩუქარი გულზე მიიკრა და არაფერი უპასუხა.

— მითხარ!— უკვე გაჯავრებით დაუწყო ჭუსენმა.

— რატომ, ჭუსენი?.. თქვენ ხომ სხვა არაბებზე მეტი შემოხავალი გაქვთ!

— მაგრამ რამდენად უფრო მცირე, ვიდრე რომელიმე უქნარა ევროპელს.. დაჯექი!

ძმები ჩამოსხდნენ სილის, ქვიშისა და შლამისაგან გაუწმენდავ გამხმარ ღრუბ-

\* მოთხოვნა დაწერილია ავტორის მიერ აფორკაში საკუთარი თვალით ნახული ამბების საფუძველზე.

ლებზე. შორს, მეთევზეთა პატარა სოფლის განაპირას, მშვიდი ტურების ყმული ისმობდა. ზოგჯერ ფრთების შრიალით გადაიქროლებდა ხოლმე ღამის რომელიმე დიდი ფრინველი. მოისმობდა ზღვის ჩუმი ჩქაფანი.

— შენ ხომ იცი, რომ... ღრუბლებს მოშპოვებულთაგან, არცერთი არ ცოცხლობს 27—28 წელზე მეტს!

— მაშ, შენ ექვსი-შვიდი წლის სიცოცხლედა დაგრჩენია, — გამოიანგარიშა ალიმ.

— ეშ, იქნებ არც თუ ისე ცოტაა! — მწარედ ამოიხსრა ძმამ, ხელები თავქვე ამოიწყო და ზვის ფსკერიდან ამოდებულ ღრუბლების ზვინზე გაიჭიმა.

— აი, ვიშოვნი ცოტადენ ფულს და ამ სამუშაოს მივატოვებ, — თავის დასამშვიდებლად თქვა ჰუსეინმა და გაიღიმა.

ალიმ სიხარულითაგან დიდხანს ვერ დაიძინა. ამიტომ იყო, რომ დღეს დავაგვიანდათ ნავში მყოფ ალის არ უნდოდა მძინარე ჰუსეინი ისევ გაეღვიძებინა. უკვე ორ საათზე მეტია მარტო უსკამდა ნიჩბებს და ბოლოს მოუხშირა შესვენებას. — რა კარგი ძმა მყავს! — გაიფიქრა ალიმ, როცა მან ჰუსეინის ლამაზ, გარუჯულ სახეს დახედა.

— სხვებმა სიმთვრალის დროს ცემა იციან, ამას კი ჩემთვის საჩუქრები მოაქვს! — აღერის მოზღვავებულ გრძობებიანი გამთბარს გული აუჩუყდა. ალი ისეთი მუსყათობით ცდილობდა მოეშორებინა ძმისათვის ბუზები, რომ შემთხვევით ფეხი წამოჰკრა და გააღვიძა. ჰუსეინმა ირგვლივ მიმოიხედა.

— ამდენი ხანი მარტო უსვამ ნიჩბებს? რატომ არ გამაღვიძებ? — გამოართვა ძმას ნიჩბები და ისეთი სიძლიერით დაუწყო მოსმა, რომ ნავი თითქმის გაუჩინდა.

ამათ გუშინდელ ძიების ადგილას უკვე სხვას დაესწრო მისვლა და ძმები იძულებულნი გახდნენ უფრო შორს წასულიყვნენ.

ჰუსეინი, რაც არახდროს დამართნია, ნერვიულობდა. ჩაჰყურებდა მოღურჯომოცისფრო წყალს, ამოწმებდა ნავის მდგომარეობას, რაღაცა ნიშნებით ახდენდა ორიენტირებას, მაგრამ მაინც ვერ ამოერჩია მოსაბოვებლად მოხერხებული ადგილი. ბოლოს, პალოზე დამაგრებულ ნიჩბებს ხელი გაუშვა და შეუდგა სამაჯისს. შეამოწმა, ადვილად ამოდიოდა თუ არა ქარქაშიდან ისეთივე დანა, როგორც ალის ჰქონდა, დაიმაჯრა ქამარზე ტომარა და სახეშეჭმუნენილა ყურები სანთლის ბურთულებით დაიცვა. დაჯდა, ცალი ფეხი ნავის ქიშხე გადადო. ალიმ გაჭირვებით მიაწოდა თოკმომბული დიდი ქვა. ჰუსეინმა ქვა მუცელზე მიიღო,

რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, მეორე ფეხიც გადაიტანა ნავის ქიშხე, უკანასკნელად კვლავ ღრმად შეისუნთქა, ზღვაში ჩასრიალდა და გაუჩინარდა ისე, რომ წყალი არც კი აშხეფებულა. ალი ხელს უწყობდა თოკს სწორად გამოშლაში, რომელიც ნელნელა იძირებოდა და ბოლოს შეჩერდა. ამას მოყვა თოკის ორი პირობითი ჩამოკვრა.

ალიმ დაუწყო ზევით ამოწევა ქვას, რომელიც წყალში ძალზე მსუბუქი ჩანდა. შემდეგ ხელი მოკიდა ნიჩბებს და დაუწყო ლოდინი ჰუსეინის ამოყვინთვის. ბოლოს, კიჩოს უკან რამდენიმე მეტრის დაშორებით, გამოჩნდა ჰუსეინის თავი და ალიმ მისკენ გასცურა. ჰუსეინი ნავის ქიშხე ხელმოკიდებული ისვენებდა. თავლები სისხლის ჩაქუცისაგან დასწითლებოდა, შუბლზე კი ვენები ლურჯი წურბელებივით გასწოლოდნენ.

ალიმ ძმას არაფერი ჰკითხა, რადგან იცოდა ვერ გააგონებდა, მაგრამ ტომარას შეხედა — ცარიელი იყო.

მეორედ ჰუსეინმა რამდენიმე წვრილი ღრუბელი ამოიღო და თავი უკმაყოფილოდ გაიქინა.

ამის შემდეგ მათ მრავალჯერ გამოიცვალეს ადგილი, მაგრამ ამოდ: არ ღირდა წვრილი ღრუბლების ძებნა, რომელშიც ბატონი რენარი თითქმის არაფერს იძლეოდა. შუადღე გადიოდა, ჰუსეინი კი უცინთავდა და უცინთავდა, ხოლო ნავის ფსკერზე ღრუბლების პატარა გროვა ვერა და ვერ იჭრებოდა. ბოლოს, დაქანცული ჰუსეინი ნავზე ამოცოცდა.

— შეეკამათ რამე და მერე აი, იქით წავიდეთ! — უთხრა ჰუსეინმა და ხელი გაიშვირა ზღვაში შემოჭრილ ქედისკენ.

— იქ მეტი სიღრმეა, გაჭირდება, მაგრამ... — ალიმ საჯდომი ფიცრის ქვეშიდან ამოიღო წივის ცეცხლზე გამოშვებარი ქერის ლავაშები, ძონძებში გახვეული ზეთის ხილი და წყლით სავსე გოგრის კულა.

— ჰუსეინ, იქ ძალიან ღრმაა! აქ დაგრჩეთ. მეც ჩავეყვინთავ. ხომ იცი, რომ ცურვაში არავინ მჯობია! — და ხმელი ღდავაშის ლეჭვით ალიმ დაიწყო ძმის დაყოლიება.

— მართალია, შენ ცურვა თევზივით იცი, მაგრამ ასე ღრმად ჩასაყვინთად ჯერ ახალგაზრდა ხარ, შენი ფილტვები ვერ გაუძლებს და გარდა ამისა, — ჰუსეინი ერთბაშად გაბრაზდა, — შენ არასოდეს არ იქნები ღრუბლების მაძიებელი, არასოდეს, გესმის! — ალიმ შეწყვიტა ქამა და კუშტად დაუწყო თვალიერება დანის პირს, რომელსაც ხელში აქეთ-იქით ატრიალებდა.

— მე შენ დანა ამ პირობებში მოლბა ჰუსეინი.

— აი, ფულს ვიშოვნი, გავყილით ნავს და შინსკენ გავწევთ!.. ახლა კი ჩვენ უნდა ამოვიღოთ ბევრი კარგი ღრუბელი... — უთხრა ლიმილით, რათა დაემშვიდებინა ნაწყენი ძმა.

ქედით შემორტყმული ყურეს სიღრმე 12 მეტრს არ სჭარბობდა. ნაპირისა და ფსკერის ქვიშარის გამო, იქ რვაფეხები არ იცოდა, ხოლო შხამიანი მეღუზები, რომლებიც მომაკვდინებელი არ იყო — სათვალავში არ ჩაიგდებოდა.

ის მხარე კი, საითკენაც ძმებმა თავიანთი ნავი წარმართეს, ბევრად უფრო ღრმა იყო. სანაპირო ქედის ქვიან ხერხელებში რვაფეხები ბუდობდნენ და ამასთან ერთად, გემების კვალდაკვალ, ნარჩენებისათვის მომავალი ზვიგენები საშიშროებას წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ იქ უნდა ყოფილყო ღრუბლის ჯერ კიდევ ხელშელებელი მთელი ველები.

— აი, აქ! — გააჩერა ნავი ჰუსეინმა, ტომრიდან ამოიღო ცალი მხრიდან გაზარული პატარა ჯიხის და ნესტოებზე მაგრად მოიჭირა. დაიცვა ყურები, მუცელზე მიიკრა ქვა და წყალში ჩაიმაღა.

ალი აწვიდა თოკს და გაშლილი რგოლების მიხედვით ანგარიშობდა სიღრმეს, რომელშიც იმყოფებოდა მისი ძმა. აი, უკვე ჩავიდა თორმეტი, ცამეტი მეტრი... შემდეგ თვრამეტი, ცხრამეტი... და თოკი მართალია ნელა, მაგრამ მაინც სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა, შემდეგ ამას მოჰყვა თოკის ორი პირობითი ჩამოკვრა და ალიმ დაიწყო ქვის ამოწევა. როდესაც ალი მიცურდა საკმაოდ შორს მყოფ, უკვე ამოყვინთულ ძმასთან ჰუსეინის იმდენად დატანჯული სახე დაინახა, რომ ნავის ქიშხე ხელჩაკიდებული ძმა ერთბაშად დაბერებულად მოეჩვენა. სამაგიეროდ ნანადირევი იყო დიდებული. ტომარა მშვენიერი ღრუბლებით იყო სავსე. ჰუსეინმა ნავში აუსვლელად ცოტა დაიხეწა და კვლავ ჩაყვინთა. ამჯერადაც მონაბოვარი სახარბიელო იყო.

მზე უკვე გადაიხარა, როდესაც ჰუსეინი ძლივძლივობით ამოცოცდა ნავში და, პირდაღებული, ნაპირზე ამოგდებული თევზივით, ფსკერზე გაიჭიმა. ჰუსეინს ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ალი დასცქეროდა მკლავებავალილ, მწოლარე ძმას. ძალიან მოუნდა მიაღწერსებოდა, მაგრამ ვერ გახედა, რადგან იცოდა, რომ მსგავსი საქციელი მამაკაცისათვის სათაკილო იქნებოდა. საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ჰუსეინი წამოჯდა, თავი მკერდამდე ჩაეკიდა. მის ფართვ, ბრინჯაოსფერ მხრებზე, ბროწყუდის





...ხელში დანამომარჯვებული ალი წყალში გადაეშვა.

მარცვლებივით ბრჭყვიალებდა ყურები-  
დან გამონაჟონი სისხლის წვეთები. ალიმ  
ნიჩბებს ხელი წაავლო.

— არა, მოიცადე!— თავაუღებლივ ამო-  
იკვნესა ჰუსეინმა.

— კარგი, ჰუსეინ, გეყოფა! ცრემლ-  
მორეული თვალებით ეხვეწებოდა ალი.  
ჰუსეინმა შეხედა თავისი ჩაწითლებული  
თვალებით და ალი მიხვდა, რომ მასთან  
დავა არ შეიძლებოდა.

— ჩავევინთავ კიდევ ერთი-ორჯერ!—  
თქვა ჰუსეინმა, ხელებით დაიცვა ყურები  
და წყალში ჩაეშვა.

როდესაც ალის ანგარიშით, ქვა უკვე  
ფსკერამდე იყო ჩასული და თან ამას  
სიგნალი არ მოჰყვა, იგი აღელდა; წა-  
მოდგა ნავში და აქეთ-იქით დაიწყო  
ცქერა. ოცდაათიოდე მეტრის დაშორე-  
ბით, ანაზღად ჰუსეინმა ამოყვინთა და  
რატომდაც, იმის მაგივრად, რომ გამოე-  
ცურა, სარულით დაიწყო ირგვლივ  
ტრიალი. შემდეგ მძლავრი მხარულით  
ნავისკენ გამოსცურა. ამ დროს ალიმ  
შეამჩნია, რომ ჰუსეინს მარჯვენა ხელში  
დანა ეჭირა. შემდეგ ჰუსეინი შეჩერდა  
და შეტრიალდა. ალიმ მთელი ძალღონით  
იწყო ნიჩბის მოსმა ძმის მიმართულებით;  
ერთბაზად ნავი რაღაცამ ადგილზე შეა-  
ჩერა. ბოლომდე გამოშლილ თოქს და  
ლუწასავით ფსკერზე ჩაშვებულ ქვას  
ნავი გაეჩერებინა. ალიმ დანის ერთი  
დაკვრით თოქი გადაჭრა, მაგრამ ძვირ-  
ფასი დრო დაკარგა. ჰუსეინი აღარ ცუ-  
რავდა, თითქოს წყალში მდგომი რაღაცას  
ელოდებოდა. ალიმ გაიხედა იმ მხარეს,  
საითქვანაც ჰუსეინი იცქირებოდა. თით-  
ქმის წყლის ზედაპირზე ჩრდილივით

გაიქროლა ზვიგენის მუქმა ზურგმა. ნა-  
ხევრად ზევით მყოფი ზურგის შავი  
ფარფლი წყალს კვეთდა. უეცრად ყვე-  
ლაფერმა ამათ მიიღო თეთრი, ოდნავ  
მოლურჯო ფერი. ზურგზე გადაბრუნე-  
ბული ზვიგენი ის-ის იყო აპირებდა  
მსხვერპლის დაჭერას, მაგრამ ჰუსეინი  
მისთვის არც ისე იოლი ნადავლი იყო.  
წყლიდან მხრებამდე ამოსული ჰუსეინი  
ფხიზლად ადევნებდა თავს ზვიგენის  
მოახლოებას, სულ უკანასკნელ წამში  
კი სხარტად შემოტრიალდა და დანა მო-  
უღერა. ზვიგენმა გვერდით გაუარა და  
სამკუთხედად გაშლილი ტალღების კვა-  
ლი დატოვა. დიდმა, წაწვეტიებულმა კუდ-  
მა მძლავრად გაიტყლაშუნა წყლის ზე-  
დაპირზე და ზვიგენი სიღრმეში ჩაი-  
მალა.

ალი უკვე ახლოს იყო ძმასთან, თით-  
ქმის გვერდით. ჰუსეინი ნავისკენ ზურგ-  
შექცეული, ხელში მოდერებული დანით,  
რომელიც წყალში ხან გრძელი და ხან  
მოკლე მოჩანდა, უთვალთვალებდა იმ  
ადგილს, საითქვანაც ზვიგენი ჩაიმალა.  
უეცრად საწინააღმდეგო მხრიდან გამო-  
ჩნდა ზვიგენის ფარფლი. ზვიგენი უკა-  
ნიდან უვლიდა ჰუსეინს და უკვე ზურგზე  
ბრუნდებოდა. ალიმ გასაფრთხილებლად  
დაიყვირა, მაგრამ ამაოდ: ჰუსეინს არა-  
ფერი ესმოდა. ზვიგენი უკვე ნავთან  
იყო. ალი უყურებდა როგორ ახლოვდე-  
ბოდა იგი წაწვეტიებული ცხვირითა და  
საშინლად დაღებულ პირით. ხელში და-  
ნამომარჯვებული ალი წყალში გადაეშვა  
და ცდილობდა გაეღებებოდა ზვიგენის  
თეთრი, საზიზღარი ფაშვისათვის არ  
აეცდინა. ერთი წამის განმავლობაში,

სწორედ იმ დროს, როდესაც იგრძნო,  
რომ დანა რაღაც რბილში ჩაესო, ალიმ  
შეამჩნია ზვიგენის დაღებულმა სახამ  
როგორ გაუარა გვერდით მის ძმას. ალის  
მკლავი საშინელმა ძალამ გამოსწია და  
დანასთან ერთად საოცარი სისწრაფით  
სადღაც სიღრმეში მძლავრად ჩაითრია.  
დანას ხელი მაინც არ გაუშვა. იგრძნო  
თუ არა თავისუფლება, ალიმ ნელა და-  
იწყო ზედაპირზე ამოვლა. ამოყვინთულ-  
მა შეამჩნია აქეთ-იქით ქროგორ ეხეთქე-  
ბოდა და აშხეფებდა წყალს გამოფატრუ-  
ლი ზვიგენი.

— დიდება ალაშს! ჰუსეინი უფნებე-  
ლია! — გაიფიქრა ალიმ. მაშ, ჰუსეინის  
თავი ნავის გვერდით რატომ ტორტმა-  
ნობდა? რატომ არ ჯდებოდა ნავში ჰუსე-  
ინი, ან ალის დასახმარებლად რატომ არ  
გამოსცურა? ალიმ დანა ქარქაშში ჩააგო  
და ძმისაკენ გასცურა.

— ჰუსეინ! — თითქმის ყურის ძირში  
ჩასძახა ძმას; ალიმ პასუხი არ მიიღო.  
ჰუსეინი უგრძობლად იყო, მაგრამ და-  
რჩენილი ცნობიერების პატარა ნაპერწ-  
კლების შემწვობით წყალზე თავი მაინც  
ეჭირა. ალიმ მაგრად ჩაავლო ჰუსეინს  
თმაში ხელი და დაუწყა ნავისკენ მოწე-  
ვა, მაგრამ ვერ შესძლო ნავში მისი ჩას-  
მა. ძმის ლაპარაკი ჰუსეინს აღარ ესმო-  
და. ალი ჰუსეინის თმებს ხელს არ უშ-  
ვებდა. გაჭირვებით ჩაჯდა ნავში და ძმას  
დაუწყა ამოწევა, მაგრამ უცაბედად  
შეშინებულმა კინადამ ხელი გაუშვა.  
მარცხენა მკლავი და მკერდი ძვლებამდე  
ჩამოთლილი ჰქონდა ჰუსეინს. როდესაც  
ალიმ დანა ჩასცა ზვიგენს, მას თავისი  
ქლიბისმსგავსი კანი მოეხვედრებინა ჰუს-



— მე კითხვა არ გეცი!—გულუბრყვი-ლოდ უპასუხა ალიმ.

სენისათვის და მთლიანად აეთალა კანი, სორცი და კუნთები.

ალიმ დიდი წვალებით ამოათრია ძმა, ჩააწვინა ნავში, მოიძრო ტანიდან სველი მჩვარი და დაფარა შემწარავი ჭრილობა.

რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა წაეყვანა ჰუსეინი ხმელეთზე. ალი მთელი ძალდონით უსვამდა ნიჩბებს, სიმწრისაგან ტუჩებს იკვნიტდა, როგორც კი ნავი ქანაობას დაიწყებდა ნიჩბების არასწორი მოხმის გამო. ნუ თუ არავინ მოეშველებოდა?.. ალი წამოდგა და შორს გაიხედა.

ჩამავალი მზის სხივები ანათებდნენ უდაბურ ყურეს, „აქედან ხმელეთამდე ორ საათზე მეტი დროა საჭირო!“—ანგარიშობდა შეძრწუნებული ალი. ოფლი თვალეში ჩამოსდიოდა. ნიჩბის ტარი ისე მაგრად ჩაებლუჯა, რომ თითების გაშლა უჭირდა.

— ალი, ჩემო ძმაო!—გახილა თვალეში ჰუსეინმა.—რა მარჯვე ყოფილხარ.

— გტყვი?—შეეკითხა ალი. თან ცდი-

ლობდა არ შეეწყვიტა ნიჩბების მოხმა და ოფლში გარეული ცრემლები ეღვენთებოდა ხან მკერდზე და ხან მუხლზე.

— ალი, დაიცა, მინდა რალაც გითხრა!

— მითხარი, მითხარი!

— დაიცა, ოჰ!—დაიკვნესა ჰუსეინმა.—დაიცა, თორემ ველარ მოვასწრებ თქმას! ალი დაემორჩილა.

— შენ ახლა მე შემეცვლი ალი, ისევე, როგორც მე შევცვალე მამაჩემი, დედას კი... დედას... ნუ ეტყვის.. უთხარი, — მეზღვურად დაიწყო მუშაობა და გვიან დაბრუნდებოდა. რენარს კი ჩემი ჯერ კიდევ ძველისა მართებს... წყალი.. წყალი..

ალიმ ტუჩებთან მიუტანა გოგრის კულა, მაგრამ ჰუსეინმა არ დალია. ღრუბლები, რომლებზედაც იგი იწვა, სისხლით იყო მორწყული.

— ფატიმა, ბრაგმი... მთლად პატარები არიან... დედა ავადმყოფია. შენ უნდა, შენ..

ღრმად ამოიოხრა და დადუშდა. ალიმ ნიჩბებს მოკიდა ხელი. უკვე ბინდებოდა. ცაზე პირველი ვარსკვლავები გამოჩნდა.

— ნუ თუ... ნუ თუ ჰუსეინიც დატოვებს ისე, როგორც მამამ დატოვა? არა, ეს არ მოხდება.

— ჰუსეინი — ჩასძახა ძმას. — ჰუსეინი— მაგრამ პასუხი არ მიუღია.

მივარდა ძმას. ჰუსეინი მკვდარი იყო. გვიან ღამით ნავი, რომელშიც ჰუსეინის ცხედარი ეხვენა, ნაპირს მიუახლოვდა. მთვარის შუქით განათებული მეთევზეების მიწურები მდუმარედ გამოიყურებოდნენ. ყველას ეძინა. ალიმ ნავი პალოს გამოაბა და თვითონ სადარაჯოდ ნაპირზე დაჯდა.

მეორე დღით მეთევზეებმა იპოვნეს ქვიშაზე მიძინებული ალი, ნავში ღრუბლებზე გაშობილი მკვდარი ჰუსეინი და თითქოს განგებ, იქვე მახლობლად ტალღებისაგან ნაპირზე გამოირიყული, უზარმაზარი, გამოფაშვული ჯიგენი. ჰუსეინი იმავე დღეს დაასაფლავეს. იქვე ზღვის ნაპირას გაჩნდა ქვიშის ბეჭობი, რომელსაც ტურებისაგან დასაცავად ლოდები შემოაწყვეს. აი, ყველაფერი ის, რაც ჰუსეინისაგან დარჩა.

ალის თავი სიზმარში ეგონა. მან ძლივს მოახერხა ნავის გაყიდვა. ამ ფულით ცხვარი იყიდა და ძმას დაუკლა. ამბავი იის შესახებ, რომ ალიმ ჯიგენი მოკლა, მეზობელ სოფლებსაც მოედო, მაგრამ მას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. უნდა დავცადა კვირა დღისათვის, მიეყიდა რენარისათვის ღრუბე-

ლი, მიედო მისგან ძველი ვალი და შინ — ალშირში წასულიყო. მიწურსაც ვისაც უნდოდა, ის აიღებდა. მიწურების სახე-ვარზე მეტი ცარიელი იყო. მის შემდეგ, რაც ამ სოფელში ღრუბელით ირჩინდნენ თავს; ხალხი იხოცებოდა სამჯერ მეტი იმაზე, ვიდრე იზადებოდა.

გათენდა კვირა დღე. ალიმ ყური მოჰკრა მანქანის ხმას და ეზოში ღრუბლების გროვასთან ლოდინი დაიწყო.

— ამბობენ, რომ შენ ჯიგენების არ გეშინია, მართალია?—მხრებზე ხელი დაჰკრა კაბინიდან გადმოსულმა რენარმა და ვარდისფრად გაღაჟღაჟებული მსუქანი სახე ღმილით დამანჭა.—საწყალი ჰუსეინი კარგად მუშაობდა! — დაუმატა სიმსუქნისაგან ჩაკეცილი კისრის წმენდით.

— ჰუსეინმა მითხრა, რომ თქვენ უკანასკნელი თვისა გამართებთ, — უთხრა ალიმ.

— მე?—გაიოცა რენარმა.—პირიქით!.. თვითონ მას მართებს. აი, შეხედე მის ხელით დასმულ ჯვარს!

— მაშინ თქვენ ჰუსეინს მხოლოდ ნახევარი მიეცით და ამიტომ დასამეფინეთ ჯვარი!—უთხრა ალიმ და ჩაიხედა უბის წიგნაკში.—მეც ხომ იქ ვიყავი.

— აფსუს, რომ კითხვა არ იცი!—სიზრალულით გაიღიმა რენარმა.—ეს ჰუსეინს ემართა ჩემი, მაგრამ ამის შესახებ მერე იყო! რამდენი მოგცე ამ ღრუბლებში?

ალიმ დაუსახელა ციფრი და სრულიად მოულოდნელად, ნაცვლად იმისა, რომ შევაჭრებოდა, რენარმა უბრძანა შოფერს მანქანა დაეტვირთა. ალი შოფერს ეხმა-



ალი იჯდა და ტირილდა.

რებოდა. როდესაც მანქანა მთლიანად  
დატვირთეს, რენარი კაბინისაკენ გაეშურა.

— ფული? — გადაუჭრა გზა მოულოდ-  
ნელობისაგან გაფითრებულმა ალიმ.

— რა ფული? აი, წაიკითხე! — ცხვირ-  
თან შეაჩჩა წიგნაკი. — რამდენი დარჩა  
კიდევ შუსეინზე?

— მე კითხვა არ ვიცი! — გულუბრყვი-  
ლოდ უპასუხა ალიმ.

— შო და აბა, რაღა გინდა? — დაიღრი-  
ალა რენარმა, ალის კისერში ჩასჭიდა  
ხელი და გვერდით ისროლა.

მთელი ხროვა ტიტლიკანა ბავშვებისა  
თვალბდაჭყეტონი შორიდან უყურებ-  
დნენ ამ ამბავს.

— არა, არა! თქვენ გმართებთ, გმარ-  
თებთ! — ალი სწვდა რენარს ფეხში,  
რომელიც მანქანის საფეხურზე ჰქონდა  
დადგმული. ყვირილზე ხალხი შეგროვდა  
და მუქარით გარს შემოეხვია მანქანას.

— დაიშალენით! — გაარღვია ხალხის  
ტალღა ორმა უნდარმა, რომლებიც  
ყოველთვის ყიდვა-გაყიდვის დროს წეს-  
რიგის დასაცავად ჩამოდიოდნენ ხოლმე  
აქ.


— რას გადამეკიდა ეს ძაღლის ლეკვი?  
— ჩამოართვა მაგრად ხელი უნდარმებს  
რენარმა და გვერდით მიავლო ლელვისა-  
გან აქოშინებული ალი.

— ტყუისს! მაგას ძველისა მართებს  
და ახლიც მუქთად მიაქვს! — საჩქაროდ  
განუშარტა ალიმ უნდარმებს და მომუ-  
დარე თვალბით შესცქეროდა ხან ერთსა  
და ხან მეორეს, რომ მათში ებოვა მხარ-  
დაჭერა, მაგრამ არცერთ მათგანს ალისა-  
თვის არ შეუხედავს.

— აი, შეხედეთ, მაგის განსვენებული  
ძმა ჩემი მევალე იყო! — რენარმა აჩვენა  
უნდარმებს უბის წიგნაკი. მათ ჩახედეს  
წიგნაკს და რენარს გზის მიმართულება  
ხელებით ანიშნეს. რენარი ჩაჯდა, მან-  
ქანამ გასწია და თან წაიღო ღრუბელი,  
რომელიც შუსეინს ასე ძვირი დაუჯდა.  
ალი გამოუდგა მანქანას, მაგრამ მძლავ-  
რი ხელი ყელში სწვდა და დაიჭირა.  
ალის უნდოდა ამ წითური, ბალნით და-  
ფარული ხელისათვის ეკბინა, მაგრამ  
მაგრამ სილამ წააქცია.

ხალხის მიერ ატეხილ ყიჟინაზე და  
ყვირილზე უნდარმები წავიდნენ. ალი  
კი იჯდა და ტირიდა. მამაკაცები მხრებ-  
ზე ხელის დაკვრით ამშვიდებდნენ, დე-  
დაკაცები თავზე ხელს უსვამდნენ, ხო-  
ლო ბავშვები გარს შემოხვოდნენ, ალის-  
თვის მხრებზე დაეწყით თავიანთი ქუჭ-  
ყიანი ხელები ჩუმი, მაგრამ სრული თა-  
ნაგრძნობის ნიშნად.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა შ ე მ დ ე გ  
ნ ო მ ე რ შ ი )



## ზამთარი

თოვს...

თოვს...

თოვს...

თოვს...

მესამე დღე არის — თოვს, —

სურათზე მოფრინდნენ მშვიერი ჩიტები —

ამინდი დაუდგა თოვს.



ბუხართან ბაბუა აბოლებს ყალიონს,  
ბებია საწინდეს რთავს...

— შეხედე!

— შეხედე — რა კარგი თოვლია,

რა დიდი ზამთარი გვაქვს.

ჰქრის...

ჰქრის...

ჰქრის...

ჰქრის...

ტოტები ემტვრევა ხეს.

მხიარულ სოფელში გაჩაღდა სტუმრობა —

სტუმრები გვეწვივნენ ჩვენც...



ვუყურებ თოვას და...

მგონია: მაღლიდან

ჩანჩქერი იღვრება რძის...

ცრის...

ცრის...

ცრის...

ცრის...

ცა ფეხად ჩამოდის ძირს.

თოვს...

თოვს...

თოვს...

თოვს...

თეთრია მინდორი, მთა;




გორაკზე ბავშვებმა წამოდგეს ბაბუა,  
რომელიც თეთრია მთლად.

ნამდვილი ბაბუა აბოლებს ყალიონს,  
ბებია საწინდეს რთავს...

— შეხედე!

— შეხედე! — რა დიდი თოვლია,

რა კარგი ზამთარი გვაქვს!





გეგან ბარლაშელიძე

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

## პირველი თოვლი

იმ ღამეს მთვარე კაშკაშებდა. უცრად ნიავმა დაჰბერა. საიდანღაც ნისლეტი წამოიშალნენ, ცხერის ფარასავით შეეფინენ დამრეც ფერდობებს, ამაღლდნენ, ამაღლდნენ, ცაში ავიდნენ. მთვარე გაფერმკრთალდა, მიიბჟუტა, მიიღია და თვალს მიეფარა.

ჭაერში თოვლის ფანტელები დატრიალდა, ერთმანეთში აირია...

სოფელ ხემოქედში ძაღლებმა შეგლავდავეს მიმალულ მთვარეს, ხოლო როდესაც პირველმა მამალმა იყვილა, ბარაქიანად ჩამოთოვა. თეთრად შეიმოსა ტალები, ტყეები, ორღობეები და მაღალ ბოკონებზე შედგარი სახლები. ზამთარმა მოითარეშა სოფელი, მძინარე ოდა-სახლების ფანჯრებში შეიჭყიტა და, თითქოს ცხვირპირი ზედ მიაჭყლიტაო, მინებზე ყინვის ნაკვები დასტოვა. ყეფას მოუზნირეს ძაღლებმა, აკრიხდნენ ქათმები, ახმაურდა კარმიდამოები და საკვამურებიდან მაღალი კვამლი აიკლავა.

ნაჯახის ჩაკუნმა გამოადგინა გია. საბანი გადაიძრო და ის იყო წამოდგომას აპირებდა, მაგრამ შესცივდა, შეაძაგდა და კვლავ საბანქვეშ შეძვრა, სული განაბა, თვალები დააჭყიტა. მოპირდაპირე ფანჯარა, საიდანაც ყოველთვის შუქი შემოდრიოდა, ახლა ჩაბნელებულიყო და სქლად მოექარგა ყინვის. მეორე ოთახის კარები ოდნავ გაღებული იყო. იქიდან ცეცხლის გუზგუზი ისმოდა და მიფიცხებული ტადების სუნი გამოდიოდა. დედა, ალბათ, დიდხანია ადგა, ცეცხლთან ფუსფუსებს. გიამ დაინახა, როგორ გაიღო სამზადის კარები და შეშის ნაპობებით დატვირთული ფილიპე ბაბუა შემოვიდა. ბაბუამ შეშა ბუნხართან დაყარა და ბონი ხმით ჩაილაპარაკა:

- ძალიან არ გათოვდა ეს დალოცვილი!..
- ახლა დედის ხმა მოისმა ტადების ტაკტუნში:
- გათოვდებოდა, აბა, რას იზამდა? დრო არაა თუ...
- ბაბუამ კიდევ ჩაიბუხუნა რალაც.

კარები ფართოდ გაიღო. გიას ოთახში ფილიპე ბაბუამ შემოაბიჯა და იატაკზე წადების სველი კვალი დატოვა. ბიჭმა თვალები მოხუტა, განგებ მოიმძინარა თავი. მაგრამ ფილიპე ბაბუას მოატყუებდა! ბაბუა დაიხარა, ცივი წვერებით სანებე შეეხო გიას, ჩაჭკოცნა და ჩაკითხა:

— გლვიძავს, ჩემო ბიჭო? — ხოლო როდესაც გიამ ორივე ხელი კისერზე შემოხვია, საყვარელმა ბაბუამ პირში გოზინაყი ჩაუღო და როგორც ახალ წელს იციან ხოლმე, ისე დალოცა:

— ასე ტკბილად დაესწარი, ჩემო ბიჭო, მრავალ პირველ თოვლს, — კიდევ ჩაჭკოცნა და სასთუმალთან ორი მსუქანი, თანატოლი ჩურჩხელა დაუღო, თან დაატანა:

— ტოლი და მეგობარი არ მოგკლებოდეს არასოდეს.

გია წამოხტა, საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, ყელზე თბილი შალი მოიხვია და გარეთ გავარდა. აღტაცებისაგან კინალამ შეჭყვირა. მთელი სოფელი თოვლით იყო გაქათქათებული. ქვევით, დაბლობში, ფიფქების კორიანტელში ოდნავ მოჩანდა სახლები, ხულები, დათოვლილი ხეების კენწეროები. სკოლა, წითელი სახურავით რომ შემოანათებდა ყოველ დილით, ახლა ნისლში მიმალულიყო. ახლოს მხოლოდ ქარუმიძეების სახლი იდგა. გიას მოუხნდა ჩვეულებისამებრ გადაეყვივნებია თავისი მეგობრისათვის: „ნინიკო, ჰალუუუ!“; მაგრამ თავი შეიკავა. აგერ, ორი დღეა იმ სამგლე ნიკორას გამო ნინიკო დავმდურა. ამის განსენებაზე გია მობრუნდა და ისევ ბაბუას გასძახა:

- ბაბუა, საქონელს აჭამეთ რამე?
- ფილიპე ბაბუა ხელების ფშვინტით გამოვიდა სახლიდან.
- აბა, ჩემო ბიჭო, კიბე მოარბენინე. ზვინზე დაუთოვია და ჩალა გადმოვიღოთ, იქნებ...

გიამ კიბე მოიტანა, ზვინზე აძვრა და ჩალა გადმოიღო. ჩალა კარგად დაბერტყეს, თოვლი გააცალეს და ბოსელში შეიტანეს. საქონელი ზმილით შეეგება საქმელს, ჩალა მაღიანად ჩახაზამუნეს და პირიდან ოხშივარი ამოუშვებს.

— შეილო ისაუხმე, სკოლაში არ დაგავიანდეს, — გამოსძახა დედამ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი გია უკვე სკოლისკენ მიიჩქაროდა. გზოდან რომ გავიდა, ერთხანს მამის ნაკვალევს მიჰყვებოდა (მამა ღამიანად წასულა სოფელსაბჭოში). შემდეგ, ნაკვალევი თანდათან თოვლმა დაფარა, ბოლოს სულ გაუჩინარდა. მაინცდამაინც არ ყინავდა, ხოლო თბილ წადებში და თივთიკის ხელთათმანებში სიცივე არც ატანდა. კალოუბანს რომ გასცდა და აღმართს შეუყვია, წინ ვიღაც დაინახა გიამ. უფრო

ახლოს მივიდა, წითელი ქუდით ნინიკო იცნო. უხმოდ აუარა გვერდი. არა, რა მოხდა ისეთი, ამის შემდეგ ხმა არ გამცეო რომ უთხრა? განა თვითონ კი უნდოდა? ქვა ისროლა და მაინცდამაინც ნიკორას მოხვდა რქაზე, მოხვდა და მოატეხა. ეხ!.. განგებ ხომ არ უქნია? მართალია, ნიკორა ნინიკოსია, მაგრამ სკოლის ზოოლოგიის წრისთვის არ ზრდიან? ერთად უვლიან და, ესე იგი, ორივესია. ნინიკო კი ატირდა, აღრიალდა, ცრემლები გადმოყარა და მას შემდეგ ხმას აღარ სცემს. განა, გას ნინიკოზე ნაკლებად უყვარს ნიკორა? განა, გას არ მოუთბია ნიკორასათვის მწვანე ბალახი? გია არ იყო ნიკორას ლამაზი ექვანი რომ უყიდა სოფლის მაღაზიაში?

გულმა აღარ მოუთმინა გიას, უკან მოიხვდა. ნინიკო გვერდზე გასულა, — არ უნდა მის ნაკვალევში იაროს. ძლივს მიიკვლევს გზას წელამდე თოვლში ჩაფლული. სახე ასწითლებია და გიას ისიც კი მოეჩვენა, რომ ცრემლები უგორავდა თვალბუბე გოგოს. ეგრე მოუხდებოდა! არ უნდა ჩემთან ამხანაგობა და ნუ უნდა... არავინ მიეძალევა. გიამ სიმღერა წამოიწყო განგებ. არა, რა მოხდა მაინც ისეთი? ნიკორას რქა ისევე გაეზრდება, — ამისათვის მეგობარს უნდა აწყენინო? ერთი კი კარგი ქნა ნინიკომ, სკოლაში რომ არავის უთხრა ეს ამბავი. ადრე თუ გვიან მაინც გაიგებენ, მაგრამ გაზაფხულამდე იქნებ რაიმე ეშველოს ნიკორას... გიამ ისევ უკან მიიხედა. მოდი მივეშველებიო — გაიფიქრა, მაგრამ გოგონას ისეთი კაპასი სახე ჰქონდა, ისე მწყურალად გამოხედა გიას, რომ... იყოს, ასე იწვალოს სანამ თვითონ დამიძახებდეს, მომეშველო.

აღმართმა გაივარა და თოვლიანი ჯაგნარი დაიწყო. უცბად, საიდანაც ორი კურდღელი გამოხტა. მოზრდილ კურდღელს ყურები მხრებზე გადაეწყო, თოვლს გაჰკროდა და მარჯვედ მიხტოდა, თოვლზე ღრმა ნაკვალევს ტოვებდა. უფრო პატარა კურდღელი ოდნავ გვერდზე გამხტარიყო, ძლივს მიკვლანობდა, წინამძღოლს შორს ჩამორჩებოდა და კვლავ განაგრძობდა გზას. იმ საბრალოს ვერ მოეფიქრებია, რომ უფროსის კვალს ჩასდგომოდა. დიდი კურდღელი შეჩერდა:

მოიხედა და ჩამორჩენილი მეგობარი რომ დანახა, მობოჟუნდა, წინ ჩაუტყუტდა, ცხვირი მიუხახუნა, რალაც ანიშნა, შეეჩივრა ისევ სწრაფი ნახტომებით გასწია. უმცროსი ახლა კი მხნედ ჩაუდგა კვალში და ორთავემ მარდად გაკურცხლეს. ცოტა ხნის შემდეგ გია თოვლზე გაელვებულ მათ ნაცრისფერ ზურგებს ხედავდა მხოლოდ. ბიჭმა იგრძნო, რომ ყურები ყინვამ კი არა, სირცხვილმა აუწევა. სწრაფად მობრუნდა, ნინიკოსთან მიიჭრა, ხელი ჩასჭიდა ხელში და თავის ნაკვლევი გადმოიყვანა. გიას დაბნეულ გოგონასათვის ხელი არ უშვია, ისე განაგრძეს გზა. მიდიოდნენ ჩუმად, ხელიხელჩაკიდებულნი, როცა სოფლის შარავნაზე გავიდნენ, გიამ მხოლოდ მაშინ უშვა ხელი გოგონას. მან გადახედა თავის გვერდით მომავალ ნინიკოს და ჩაილულღულა:

— მე ხომ... განგებ ხომ არ მიქნია... აი, თუ გინდა მამას დავაბარებ და ისეთ საბელს ჩამოვტანინებ ნიკორასათვის, რომ...

ნინიკომ თავი ჩაღუნა და ისე უპასუხა:  
— არა, განგებ კი არა, მაგრამ მაინც მეწყინა, იცი! საწყალი ნიკორა, იქნებ არც კი გაეზარდოს რქა. მერე სკოლაშიც რას იტყვიან, — ერთ ხბოს ვერ მოუარესო.

— არა, აუცილებლად გაეზრდება! — ცხარედ უმტკიცებდა გია, — თუნდაც დაენაძღვედით, რომ გაეზრდება! ის კი არა, ფილიპე ბაბუამ თქვა უკეთესი რქა ამოუვაო.

ნინიკოს სახე გაუბრწყინდა.  
— მართლა ასე თქვა ფილიპე ბაბუამ?

გია შეეყოყმანდა, მაგრამ მაინც მტკიცედ უპასუხა:  
— სამუდამოდ ხომ არ მოტეხია... გაიზრდება და არც კი დაემჩნევო.

— აბა, ბაბუაჩემმაც ასე თქვა, — გამოტყდა ნინიკო. ის იყო სკოლის ეზოში შევიდნენ და ზარიც დაირეკა. გიამ ჩურჩხელები მოსინჯა ჯიბეში, ერთი ამოიღო, ნინიკოს ჩაუღო ხელში და ფილიპე ბაბუასავით დინჯად უთხრა:  
— ტოლი და მეგობარი არ მოგკლებოდეს არასოდეს, — ხმადაბლა დაუმატა, — რქის ამბავს კი ნურავის ეტყვი... ნინიკომ თავი დაუქნია და მეგობრებმა კლასს მიუშურეს.





რაკი ასე გულდამშვიდებით შედაგები, ეტყობა, ბიჭო, გცოდნია ინდოელების ამბავი!

ახლანდელი მასწავლებელი იქნებ უფრო ფრთხილად მოპყრობოდა ბავშვს, მაგრამ ის ამბავი, რომელსაც ამჟამად მოგიტობოთ, 1924 წელს მოხდა. ამასთან, ტონის არაერთხელ ჩაუყენებია მის კლექტი უზერხულ მდგომარეობაში, და ამიტომ, მასწავლებელიც, როგორც კი იხელთებდა, სულ იმას ცდილობდა, სამაგიერო გადაეხადა თავისი მოწაფისათვის. არც ახლა გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა: რა შეატყო საფუძველი შეერყაო, გადაწყვიტა ბოლომდე მიჰყოლოდა.

— თქვენზე მეტი საიდან მეცოდინება, — გულმოდგინედ შეარჩია სიტყვები ტონიმ, — მაგრამ ზოგი რამ მეც გამეგება.

— ამის თქმა ხომ ყველას შეუძლია, — ჩაიქირქილა მისს კლექტმა და ამ სიტყვებით კლასში კვლავ გამოიწვია გამქირდავი სიცილი, — მაგრამ, ეტყობა, მართლაც ბევრი რამ იცი ინდოელების შესახებ. არ გვეტყვი, საიდან იცი?

— ვიცი, მეტი რა უნდა ვთქვა.

— ა, ახლა კი მივხვდი! — თქვა მისს კლექტმა, — ალბათ, ინდოელებთან მეგობრობ.

— დიან. — კლასში კვლავ სიცილი ატყდა, მაგრამ მისს კლექტმა დააწყნარა ბავშვები. იმ მოწაფეებმა, რომლებიც მისს კლექტსაც და ტონისაც კარგად იცნობდნენ, იგრძნეს, რომ მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა და მოუთმენლად ელოდნენ, რა მოხდებოდა.

— აჰ, მაშ, ინდოელებში მეგობრებიც გყოლია, ტონი! იქნებ ინდოელების მთელი ტომია შენი მეგობარი.

— არა, მე უზრალოდ ერთი ინდური სოფელი ვიცი, — მიუგო ტონიმ.

— ბიჭოს! მერე სად არის ეგ სოფელი, ტონი?

— ქალაქის ჩრდილოეთით, — უყოყმანოდ, მაგრამ ამავე დროს უიმედოდ, უპასუხა ტონიმ.

მისს კლექტმა თვალები მოჭუტა. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე, ბავშვს ყველაფერს ვაპატიებ, ოღონდ ნუ იცრუებსო. ამასთან, მისი აზრით, ბავშვების აღზრდა საჭირო იყო სხვის მაგალითზე და ამიტომ, მთელი კლასის ინტერესისათვის, გადაწყვიტა ერთი ბავშვი არ დაეზოგა.

— მაშ, ჩვენს ქალაქში ინდური სოფელი ყოფილა, ტონი, და შენ იქ მეგობრებიც გყავს! ეს ნიუ-იორკში ხდება, 1924 წელს! იქნებ ეგვეც გვითხრა, სად არის ეგ სოფელი.

— სამი საათის სავალზეა აქედან, — ნაღვლიანად, მაგრამ ჯიუტად უპასუხა ტონიმ, — მთელი ტომი ცხოვრობს იქა და არაფერი უგავთ ველურებს. პირიქით, მშვენიერი ხალხია. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩემთვის სულერთია.

— სიცრუეს არ გააპატიებ! — შესძახა მისს კლექტმა. — ტონი, გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩები.

დარჩა ტონი გაკვეთილების შემდეგ სკოლაში. გამოდის, რომ დღეს ვეღარ გავა იმ კარებში, ეს კი იგივეა, თუნდაც სამასჯერ დაეწეროს დაფაზე — ამეტად აღარ ვიცრუებო.

ბოლოს, როგორც იქნა, ტონის შინ წასვლის ნება მისცეს და მამასთან წერილი გაატანეს; ეს კი, რაღა თქმა უნდა, ყველაზე უარესი იყო.

\* \* \*

მისს კლექტს ვერ გადაეწყვიტა, როგორი იყო ტონი — ძალიან სულელი, თუ თავის ასაკთან შედარებით უჭკუო; სავსებით მიაბიტი თუ მეტისმეტად ეშმაკი. სინამდვილეში ტონი არც ის იყო და არც ეს. სრულიად ჩვეულებრივი ბიჭი იყო, თერთმეტი წლისა. მაგრამ კარები იყო არაჩვეულებრივი, ჯადოსნური, თუმცა ტონის საგსებით ჩვეულებრივად გჩვენებოდა იგი. ეს კარები

კოპიარდ ფასი

ნახ. კ. მახარაძისა

# შონი და ჯადოსნური კარები \*

გუძღვნი ჩემს შვილებს და იმ ბავშვებს, რომლებიც შეკითხვებით არ მასვენებენ — ჩვენთვის რატომ აღარაფერს სწერო.

## შონი და მასწავლებელი

— რატომ ეძახით ხოლმე ველურებს? — იკითხა ტონი მაკტევიშ ლივიმ, — სულაც არა ჰგვანან ველურებს; ისინიც სხვებივით მშვიდი და კარგი ადამიანები არიან.

— აჰ, ასეა საქმე? — თქვა მისს კლექტმა ისეთი გამომეტყველებით, რაც კარგად ნაცნობი იყო ტონისთვის. — გამოდის, რომ ინდოელების ამბავი ჩემზე კარგად შენა გცოდნია.

ეს სიტყვები ისე წარმოთქვა მასწავლებელმა, რომ მთელ კლასს გაეცინა. ყველანი ტონის მიაჩრდნენ. იცოდნენ, რომ ახლავე გაიმართებოდა ჩვეულებრივი სცენა და გასართობად მოემზადნენ. ერთადერთი ტონი იჯდა გაქვავებულივით — პირი მოეკუმა და ჯიუტად იყურებოდა.

— ჰა, მაშ ასეა საქმე, ტონი? — გაიმეორა მისს კლექტმა, — ვითომ ჩემზე კარგად იცი ინდოელების ამბავი?

— არა.

— მაშ, ასე თვითდაჯერებულად რაღას ამბობ, ველურებს არა გვანან, სხვებივით მშვიდი და კარგი ადამიანები არიან?

\* იბეჭდება შემოკლებით.

უკანა ეზოში გადიოდა, იმ სახლში, რომელშიაც ტონი ცხოვრობდა.

ტონი მოტ-სტრიტზე ცხოვრობდა, ჰუსტონ-სტრიტიდან ორი კვარტლის დაშორებით. მოტ-სტრიტი იწყება ჰუსტონ-სტრიტთან და სამხრეთისაკენ მიემართება, მანჰეტენის კუნძულამდე აღწევს; ქუჩის ბოლო ჩაინა-ტაუნში გადის, საცა ჩინელები ცხოვრობენ. ტონი ორჯერ იყო ჩაინა-ტაუნში დედამასთან ერთად და, კარების აღმოჩენამდე, ეს უბანი ყველაზე სენტიერესო ადგილად ეჩვენებოდა.

ჩაინა-ტაუნიც ხომ მოტ-სტრიტზე მდებარეობდა, მაგრამ ეს უბანი მაინც შორს იყო ტონის სახლიდან. ტონი ცხოვრობდა წითელ ავურისგან ნაგებ, ძველ, წოწოლა სახლში. ასეთი სახლები იმ უბანში ბევრი იყო. მათ ეჭირათ სამი ოთახი მეორე სართულზე. ერთი ციკნა ოთახში იყო და ფანჯრები უკანა ეზოში გადიოდა. განსაკუთრებით ბაწაწინა იყო ის სორო, რომელშიაც ტონი იძინებდა; მეორე, ოდნავ მოზრდილ ოთახში მშობლებს ეძინათ, ხოლო მესამე ოთახში, რომელიც სამზარეულოს მაგივრობასაც სწევდა, ისინი სადილობდნენ, საუბრობდნენ, მუშაობდნენ... ერთი სიტყვით, ოჯახის ცხოვრება ამ ოთახში დღედა.

ცხოვრობდნენ ძალიან ღარიბულად, მაგრამ ტონის დიდად არ აწუხებდა ეს გარემოება, რადგან იცოდა, რომ სხვები კიდევ უფრო ღარიბულად ცხოვრობდნენ: სხვა რომ არა იყოს-რა, მას საკუთარი ოთახი მაინც ჰქონდა. სხვა ოჯახები კი, სადაც სამსამი, ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და ზოგჯერ ათ-ათი ბავშვი იზრდებოდა, ერთ ოთახში ცხოვრობდნენ: საკუთარი ოთახი არავისაც არა ჰქონია. ტონის კი—ერთადერთ ბავშვს მთელს ოჯახში—ჰქონდა თავისი ოთახი, თავისი ფანჯარა... ხოლო ფანჯრის იქით თავისი სახანძრო კიბეც. ფანჯრიდან კიბეზე გასვლა შეეძლო, ხოლო ამ კიბით სამ წუთში კარებთან გაჩნდებოდა. სახლის კარებთან კი არა, უკანა ეზოს კარებთან.

როგორც ხედავთ, ტონის სახლს უკან ეზო ერტყა. ეზოს ათიოდე ფუტი სიმაღლის მესერი ჰქონდა შემოვლებული. აი, სწორედ ამ მესერში იყო გამოჭრილი პატარა კარები.

ეს იყო ტონის ჯადოსნური კარები. გამოვიდოდა ტონი ოთახის ფანჯრიდან, სახანძრო კიბეზე დაეშვებოდა, ძველი საწოლის ზამბარებიან ბადეზე შეხტებოდა, ერთი-ორჯერ შეინავარდებდა, იქიდან ძველ, თუჯის ღუმელზე გადახტებოდა, ხროვად დაყრილ კონსერვის დაჭანგებულ ქილებს გვერდს აუქცევდა, პატარა დამტვრეულ მაგიდას გადაეცლებოდა, ძველ მაცივარსა და ნაალს ირგვლივ შემოუვლიდა, ჟანგიან საკანალიზაციო მილზე ერთ-ორ ნაბიჯს გაივლიდა, ძველი ფორანის ბალიშებზე გადაცოცდებოდა, ბოლოს ძველ ძინძებ და ზამბარებ გამოჩრილ დივანსაც გადალახავდა და უკვე ჯადოსნურ კარებთან იყო.

\* \* \*

სკოლიდან დაბრუნებული ტონი მთელი გზა იმას ორჭოფობდა, გადაეცა მამისათვის მის კლეტის წერილი, თუ კონვერტი გაეხსნა, წაეკითხა და მერე ნაკუწ-ნაკუწად ექცია. მამისა სულაც არ ეშინოდა: თავისდღეში არ უტემია მამას, მაგრამ როცა ტონი რაიმეს დაამაგებდა, ისეთი თვალებით შეხედავდა ხოლმე მამა, რომ ბიჭს ცემა ათასწლად ეგარივნა. შეხედავდა და თითქოს ეუბნებოდა: «ხომ ხედავ, რასაც ვაკეთებ, შენთვის ვაკეთებ ყველაფერს, შენ კი ასე მიხედი სამაგიეროს!»

ტონის ძალიან უყვარდა მამა, მაგრამ გულს მაინც ისე ვერ გადაუხსნიდა, როგორც დედას. ტონიმ კარგად იცის, რომ მთავარია «ბედმა გაუღიმოს» მამას, მერე ყველაფერი კარგად მოგვარდება. საერთოდ ყველა მამები ასე ყოფილა—მეზობელ სახლებშიაც, მთელს ქუჩაზედაც. ისინიც, ტონის მამისავით ბევრს მუ-

შაობდნენ, შინ გადალასლასებულები ბრუნდებოდნენ და მთელი მაც აღარ ჰქონდათ მოთმინება.

ტონის კარგად არა ჰქონდა შეგნებული, რას ნიშნავდა ეს «ბედის გაღიმება». ყოველთვის, როცა პროფკავშირი გაფიცვას გამოაცხადებდა, ხან დამმარებული, ხან კი სახეგაბრწყინებული მამაც უდროო დროს დაიწყებდა ხოლმე მოსვლას. ტონი გაიფიქრებდა: «იქნებ სწორედ ახლა გაუღიმა მამას ბედმაო». მაგრამ არა, ტონი ვერ იქნა და ვერ ეღირსა გაეგო—როგორ უღიმის ადამიანს ბედი. ერთს კი ნამდვილად გრძნობდა ტონი: მამა რომ ზოგჯერ ასე კოპშერულადა, ალბათ ბედმა არ გაუღიმა და იმის ბრალიაო. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, არ მიეღო მამას მის კლეტის წერილი.


მაგრამ ტონიმ მის კლეტის ამბავიც კარგად იცოდა: მის კლექტი უსათუოდ ჰკითხავდა მას, მამაშენის პასუხი რა უყავიო, ხოლო თუ წაკითხული არ ექნებოდა მამას წერილი, მასწავლებელსა და მოწაფეს შორის მეტად გრძელი და ავისმომასწავლებელი ბრძოლა დაიწყებოდა. მეტი რა გზა ჰქონდა, ტონიმ გული გაიმაგრა და შინ რომ მივიდა, დედას გადასცა მასწავლებლის წერილი.



ტონიმ გააღო კარები...

შენს ტექტი შეიძლება არა გვყავს. მე ბევრს გეტყვობ და მისწავლია ვოცნებობ, როცა გაიზრდები, ჩემზე ბედნიერი იყო.

- ვიცი, მამა.
- მერე, როგორა გგონია, რა გუნებაზე დამაყენებდა მასწავლებლის წერილი; თურმე, კიდევ ტყუილი გითქვამს.
- ალბათ ძალიან გეწყენებოდა, მამი.
- ასეთი სულელური ტყუილი... მასწავლებლისთვის გითქვამს, ინდოელებს ვიცნობ, მთელ სოფელსაო. რაში დაგჭირდა ასეთი ტყუილი?
- ეს სიმართლეა. მასწავლებელმა კი ბევრი ტყუილი თქვა ინდოელებზე, მეც ავდექი და ვუბასუხე.
- მერე საიდან იცი, რომ ინდოელებზე ტყუილი ილაპარაკა?
- ვიცი, მეგობრები მყავს ინდოელები,—უბასუხა ტონიმ.
- ახლა მეც გამიბი ზღაპრები, რას არ მოჩმხავ ხოლმე, პირდაპირ თავი მოგვაბეზურე, ტონი!
- მართალს ვამბობ, მამი, არც შენ მომიტყუებიხარ, არც მისს კლექტი. მე და პიტერ ვან დობენი დავდივართ ხოლმე ინდურ სოფელში.
- პიტერ ვან დობენი ვილა არის?
- ტონიმ ამოიხორა და უბასუხა:
- ერთი ჰოლანდიელი ბიჭია.
- რომელი ჰოლანდიელი ბიჭი?
- ჩემი ამხანაგია, აქვე ფერმა აქვთ.
- გეყოფა, ტონი, სისულელეებს თავი დაანებე! არ გგსმის, რას ლაპარაკობ? საიდან მოიტანე ეს ინდური სოფელი, ფერმა, ჰოლანდიელი ბიჭი... ტყუილების გულა გახდი? შენ გგონია დაგჯერებენ?
- ვიცი, რომ არ დამიჯერებთ,—უბასუხა ტონიმ.
- მაშ რატომღა ლაპარაკობ?
- იმიტომ, რომ მართალს ვამბობ.
- მამა მოთმინებიდან გამოვიდა.
- რა არის მართალი? ნეტა რას ჩმახავ! ეტყოდა, ერთი კარგი მიტყუება მოგიხდება და გამოგასწორებს, ახა როგორ ბედავ და ასეთ სიცრუეს მეუბნები, ინდურ სოფელში ვიყავიო, ან ეს ჰოლანდიური ფერმა საიდან მოიგონე? სად ნახე?
- აქა,—უბასუხა მიკნავებული ხმით და ხელი ფანჯრისაკენ გაიშვირა.
- ტონი!
- კარებიდან ეზოში შევდივართ ხოლმე,—სხაპასუხობთ მიაყარა ტონიმ, რომ ჩქარა განემარტა ყველაფერი და მორჩენილიყო,—შევალ თუ არა კარებში, პირდაპირ პიტერ ვან დობენის ფერმას მივადგები. იქ ყველაფერი სხვანაირია. ირგვლივ სულ ფერმები და ტყეა. ჩვენს სახლებს კი არა ჰგავს, არც ჩვენებურ ქუჩებს. ცოტათი ჩრდილოეთისაკენ თუ გასწევ, ინდურ სოფელს მიაღებები, აი ჩრდილო მდინარის გასწვრივ რომ პატარა მიწა-რიცა, იმის შუაგულში. სოფლისკენ რომ დაეშვები, ბილიკი შეგხვდება. ეს ბილიკი ტყეს სჭრის, ინდოელებს გაუყვანიათ. მიუახლოვდები თუ არა სოფელს, ძაღლების ყეფას გაიგონებ. მზის სხივები დაბურულ ფოთლებში ატანს და ბილიკს ოქროსფერად აფერადებს; ძაღლებიც ყვითლები არიან. მოგვარდებიან, შემოგვხვევიან, მაგრამ კი არა გეკენენ, უბრალოდ ხელეხს გილოკავენ ხოლმე. ამასობაში სოფელიც გამოჩნდება, ხის ქერქისაგან აშენებულ კარებს დაინახავ, ისეთი საამბური საჭმლის სუნი ღვას! ყველგან თეთრი სამანწკის გულეზია გამოფენილი და ჰოლანდი-



... გამოჩნდა ათასნაირი ხარა-ხურით საესე ეხო...

- კიდევ დააშავე რამე?
- ტონიმ უხმოდ დაუქნია თავი. დედამ კარაქიანი ბური მისცა და გარეთ გაუშვა. ტონი უკანა ეზოში გავიდა, მაგრამ მზე უკვე ჩადიოდა და ორი პატარა გოგონა «დედა-შვილობანას» თამაშობდა. კარებზე ფიქრი სულ ზედმეტი იყო, ამიტომ ქუჩაში გავიდა, სახლის წინ, სადაც ბავშვები „კატა-თავგობანას“ თამაშობდნენ. ვაბზამს რომ მორჩნენ, მამამ უთხრა:
- შენს ოთახში გავიდეთ, შვილო, უნდა მოგელაპარაკო!
- წავიდეთ.
- ტონის ოთახში შევიდნენ; ჯერ მამა შევიდა, მერე ტონი. ბიჭმა ერთი მოინედა და შენიშნა, რომ შეწუხებული დედა მათ შეპყურებდა; ხელებს სამზარეულოს ხელსახოცზე იწმენდა და მისი უკან გადავარცხნილი თმა ლამბის შუქზე ბრწყინავდა. ასეთ წუთებშიც კი ტონიმ გაიფიქრა, დედებს რა ლამაზი თმა აქვთო.
- ტონი ლოგინზე ჩამოჯდა, მამა კი სკამზე დაჯდა, ამის მეტი სკამი არც ყოფილა ოთახში. ტონიმ შეატყო, რომ მამა აღლევებული იყო და არ იცოდა, როგორ დაეწყო ლაპარაკი, ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო:
- ხომ იცი, ტონი, რა იმედებსაც ვამყარებ შენზე?
- ააა.
- შენს გარდა კიდევ რომ გვყავდეს ბავშვები მე და დედაშენს, იქნებ ყველაფერი სულ სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ



ელი ვაჭრები მიდი-მოდიან. ისინი ბეწვეულს ყიდულობენ ხოლმე და განუწყვეტლივ აბოლებენ გრძელ ჩიბუხებს...

— გეყოფა, ტონი!  
— შენ თვითონ არა მკითხე?! მამბეო, მითხარი და...  
— მერე ტყუილი უნდა მამბო?  
ტონიმ უხმოდ შეხედა მამას.  
— ხომ ხედავ, — უფრო რბილად უთხრა მამამ, — ერთ სიცრუეს მეორე მოჰყვება ხოლმე, გადაეხლართება ერთმანეთს და მერე შენ თვითონვე ვეღარ პოულობ გამოსავალს. არა სჯობია, სულაც არ იცრუო?

— ნამდვილად ასეა, მამა.  
— აბა, რაში გჭირდება ამდენი ტყუილის მოჩმახვა? ის კარები მეორე ეზოში გაღის! ხომ ასეა?

ტონიმ თავი გააქნია. სიკვდილი ერჩინა მამასთან ასეთი საუბრის გაბმას, მაგრამ რაკი ერთხელ ახსენა ეს კარები, ბარემ ბოლომდე უნდა განემარტა, უნდა დაერწმუნებინა მამა, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყო.

— არა, შეხვალ თუ არა იმ კარებში, პირდაპირ პიტერ ვან დობენის ფერმას მიადგები, — თავისას გაიძახოდა ტონი.

მამა წამოდგა და თავისი გრძელი თითით დაემუქრა ტონის.

— კმარა, ტონი! გეყოფა! წავიდეთ და ვნახოთ ის კარები. თუ ყველაფერი ისე აღმოჩნდა, როგორც მე ვამბობ, ისე მიგტყუებავ, რომ მეორედ აღარ დადგები ასეთი სიცრუის გუნებაზე. წავიდეთ!

ტონი მამას გაჰყვა. უხმოდ გაიარეს სამზარეულო, ჩაუარეს დედას, დაეშენენ კიბეზე, დაბლა ჩავიდნენ, მოხერხებულად აუტყვის გვერდი იქ დაყრილ ხარა-ხურას და ეზოს კარებს მიადგნენ.

— გააღე, — უთხრა მამამ.

ტონიმ გააღო კარები, გამოჩნდა პათანაირი ხარა-ხურიო საგსე ეზო და მეზობელი სახლის წითელი აგურის კედელი. სულ ერთი წუთი იდგნენ და შესცქეროდნენ ამ ნაცნობ საგნებს, მაგრამ ეს ერთი წუთი ახლა მთელ საუკუნეთ ერგნათ. ბოლოს მამამ მიხურა კარები და სახლში დაბრუნდნენ.

კიბეზე რომ აღიოდნენ, მამამ უთხრა:

— გატყუებდა დავივიწყოთ, შვილო, ოღონდ ახლა მაინც მომეცი პირობა, რომ მეტს აღარ იცრუებ.

— ჰო, მაგრამ მე სიმართლე გითხარი, მამა! განა არ ვიცოდი, რომ შენთან ერთად არაფერი გამოჩნდებოდა, რადგან არა გჯერა!

— კიდევ გაიძახი სიცრუე არ მითქვამსო?

— არც მითქვამს.

— მაშინ გატყუებდა თუ გიშველის! ისე, ეტყობა, ვერაფერს გავხდები შენთან.

იმ ღამეს ტონის თვალებს დიდხანს არ მიეკარა ძილი. არ უტირია, მაგრამ ძალიან უბედურად გრძნობდა თავს. მშობლები ამ დროს სამზარეულოში იხსდნენ და მუსაფობდნენ.

— ჯერ არც ჯი გიცივია ასე მაგრად, — უთხრა დედამ მამას.

— რა გქნა, მე თვითონაც ვიტანჯები, მაგრამ სხვაგვარად რომ ვერ მოვაშლევინე ტყუილები! ისე დარწმუნებით ლაპარაკობს ამ სისულელეებს, რომ ზოგჯერ, მგონია, თვითონაც სჯერა. მეც კინაღამ დამაჯერა. ეს კი ძალიან ცუდი ამბავია. თანდათანობით იქამდე მივა, რომ მართალს ტყუილისაგან ვეღარ გაარჩევს.

— რაც არ უნდა თქვა, მაინც კარგი ბიჭია.

— რა თქმა უნდა, კარგი ბიჭია და მეც იმას ველოვარ, რომ ასეთივე დარჩეს მუდამ. არა, როგორ დარწმუნებით ლაპარაკობს ინდოელებზე! თითქოს იმათ სოფელშიაც ყოფილიყოს.  
— რაო?

— ინდოელების სოფელში დავდივარო, ამბობს. ძალიან მდიდარი ფანტაზია აქვს.

— ნამდვილად. მაგრამ ასეთ რამეებზე გაგულისება როგორ შეიძლება! კაცებს ხშირად გაგიწყდებათ ხოლმე რომ ოდენლაც თქვენ თვითონვე იყავით ბავშვები. ხომ ხედავ, რა უსიხარულო ცხოვრება გაქვს შენცა და შენს ამხანაგებსაც. რატომ არ გინდა გაიგო, რომ ტონი და სხვებიც, ჩვენი მეზობლის ბავშვები, დღენიადაც ამ აგურის კედლებს შეპყურებენ და სოროებში იტანჯებიან!

რამდენიმე წუთს შემდეგ მამამ ბიჯაკი ჩაიცვა და დაბლა ჩავიდა — სუფთა პაერზე გავივლი და პაპიროსსაც გავაბოლუბო. «სუფთა პაერის» ძებნამ იგი მიიყვანა ერთ ადგილობრივ ექიმთან, ფორბსთან, რომელიც ინდოელების საყოფაცხოვრებო ნივთებს აგროვებდა ხოლმე და ინდოეთის ტომების ისტორიით იყო გართული. ექიმი ერთი მეოთხედით თვითონვე იყო ინდოელი და, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, თავის წინაპრების ისტორიას მივარდებოდა ხოლმე. მოვლილი და დათვალიერებული ჰქონდა ინდოელთა რეზერვაციები ამერიკაში; წიგნიც კი დაწერა მათზე.

ტონის მამას თავის პატარა კაბინეტში დახვდა ექიმი: ფეხები ფაჩუჩებში ჩაეყო, ქურთუკი მოესხა და წიგნს კითხულობდა იროქეზების კავშირის შესახებ.

ამოიხორა, წიგნი გვერდზე გადასდო და სათვალე მოიხსნა.

— გამარჯობა, ლივი. ვინ გახდა ავად — მეუღლე თუ ტონი?

— არა, ამჯერად ყველანი კარგად არიან. ინდოელების შესახებ მინდოდა რაღაცეები მეკითხა. — ექიმმა შვებით გაიღიმა და ისევ გაიკეთა სათვალე.

— კეთილი და პატიოსანი! დაბრძანდით, კარგად მოეწყვეთ. ინდოელები ხომ არ დაგესხათ, მოტ-სტრიტზე?

— მგონი, დიდი ხანია აღარავინ შეუწუხებიათ, — მიუგო ტონის მამამ და სავარძელში მოეწყო, — მაგრამ ექიმო, მაინც რომელი ტომები აწყობდნენ ხოლმე ამ კუთხეზე თავდასხმებს? ექიმ ფორბსს გაეცინა:

— ამის გასაგებად თუ მოხვედით, ახლავე უნდა გითხრაო, რომ ძალიან დახლართულ საქმეებს წააწყდებით. მართალი თუ გინდათ, ეს საკითხები ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია, კაცმა არ იცის, რომელი ტომები ცხოვრობდნენ ამ ადგილებში იმ დროს, როცა მანჰეტენში ჰოლანდიელები დასახლდნენ... იმ ამბებისა ბევრი არაფერი ვიცით, და, რაც ვიცით, ისიც საუკულოა.

ტონის მამა გვიან დაბრუნდა სახლში.

— რა ქენი, გააბოლუე პაპიროსი? — ჰკითხა ტონის დედამ, როცა მამა კარებში შემოვიდა.

— მართალი თუ გინდა, პაპიროსი აღარც კი გამხსენებია.

მერე ტონის ოთახში შევიდა მამა. ბიჭუნას ეძინა. ოთახს მთვარის შუქი ანათებდა. ტონის ისე სამურად ეღიმებოდა ძილში, თითქოს სიხმრად რაღაც ძალიან კარგსა და არაჩვეულბრვის ხედავსო.

თარგმნა ვახტანგ ზემლიძე

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა შ ე მ დ ე გ ნ ო მ ე რ შ ი)

# გლეხის ჭკვიანი გოგონა

ნახ. ზ. ლეჟინა

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო ერთი ღარიბ-ღატაკი გლეხი, რომელსაც ძველი, გვერდზე წამოქცეული, ისლით გადახურული ქიხის მეტი არაფერი გააჩნდა.

ამ გლეხს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, მეტად ჭკვიანი და ლამაზი. ახლო-მახლო მეზობლობაში თუ კი ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, ყველას მშველელი და ნუგეშისმცემელი გლეხი და მისი გოგონა იყო. თავის მხრივ, მეზობლებიც არ რჩებოდნენ ვალში, მუდამ მათი პატივისმცემელი იყვნენ და მამა-შვილსაც კეთილი ხალხის წყალობით იოლად გაჰქონდათ თავი.

ერთ საღამოს გლეხის გოგონა ქიხის ზღურბლზე იდგა და დაფიქრებული ადევნებდა თვალს შრომისაგან დაქანცული ადამიანების ფუსფუსს. უცებ იგი მიუბრუნდა მამას და გაბედულად უთხრა:

— როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასეთ სიღარიბეში? ორი-გენი ჯანმრთელი ვართ და შრომაც შეგვიძლია. მამა, რა იქნება, რომ მეფეს ეახლო და სთხოვო, გვიბოძოს პატარა მიწის ნაკვეთი. დღედაღამ ვიშრომებდით და ჩვენს სამყოფს სარჩოს მაინც მოვიყვანდით!

— ტყუილად კი არ მეუბნებიან მეზობლები, ჭკვიანი გოგონა გყავსო. შენ გენაცვალე, შვილო, რა კარგი რამ მირჩიე! გამოგიტყდები, მეც ბევრჯერ მიფიქრია მაგაზე, მაგრამ

შენთვისაც კი ვერ გავბედე თქმა. რაკი შენც მაგ აზრისა ხარ, ამ საქმეს წინ რაღა დაუდგება.

მეორე დღესვე ეახლა გლეხი მეფეს და თავისი სათხოვარი მოახსენა. მეფე იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო და გლეხის თხოვნა შეისმინა.

კმაყოფილი გლეხი დაბრუნდა შინ და სასიხარულო ამბით თავისი ქალიშვილი გაახარა.

იმ დღიდან მამა-შვილმა გულმოდგინედ დაიწყეს თავისი მიწის დამუშავება.

მეფის ნაბოძები სახნავი ადგილი ტყის პირას იყო, შიგ შეუაგულში კი დიდი მუხა ხარობდა. როცა გლეხმა ამ მუხის ახლოს მიწას ბარი დაჰკრა, მიწიდან ოქროს როდინი ამოვარდა. გაოცებულმა გლეხმა თავის შვილს დაუძახა:

— ერთი შეხედე, შვილო, ჩვენს თავს რა სასწაულები ხდება! ამ ოქროს როდინს ვერა ხედავ?

— მართლაც რა საოცრებაა!.. მოდი, მამა, ამ მუხის გარშემო უფრო ღრმად გავთხაროთ მიწა, იქნებ სხვა რამ განძეულსაც წავაწყდეთ!

საღამომდე თხრიდა მამა-შვილი მიწას. მაგრამ მეტი აღარაფერი უპოვნიათ.

— იცი, შვილო, რას გეტყვი, — უთხრა გლეხმა თავის ქალიშვილს, — ეს ნამდვილი სასწაულია, იქნებ თვით ღმერთმა გამოგვიგზავნა ეს ძვირფასი განძი, რომ მეფეს საჩუქრად მივართვათ მადლობის ნიშნად?..

— ნუ მიწყენ, ჩემო მამილო, მაგრამ უნდა გულახდილად გითხრა, ძალიან მაკვირვებს შენი სიტყვები, იმ შენს ღმერთს რომ ამდენი ძალა ჰქონოდა, განა ამდენ ხანს ასეთ გაჭირვებაში გვაყოფებდა? ან როგორ ფიქრობ, მეფეს რომ ეს როდინი საჩუქრად მიართვა, დაგიჯერებს კი, რომ ამის მეტი განძი არაფერი გვიბოძნია? იფიქრებს: დამიძალეს, მცირედი მე მომართვეს, ბევრი თავისთვის გადამაღესო, განრისხდება და დიდ უბედურებასაც გადავეყრებით.

არ დაუჯერა თავის ქალიშვილს ჯიუტმა გლეხმა და ოქროს როდინით გასწია მეფის სასახლისაკენ.

— შენ, ეი, აქ რას ატუზულობარ? — მრისხანედ შეუყვირა კარისკაცმა სასახლის გაღავანთან მდგომ გლეხს.

— მეფის ნახვა მინდა, შენი ჭირიმე.

— მეფის ნახვა? კი, მაგრამ განა არ იცი, რომ მეფე ერთი კვირაა რაც უგუნებოდა და თუ ვინმე მსოფნელი შეეყარა, ისეთ ციხეში ჩაკეტავს, საიდანაც მხოლოდ მოუსხველეთის ქვეყანაში მიდიან.

— მე სათხოველი არაფერი მაქვს, შენი ჭირიმე, მეფეს ძღვენი უნდა მივართვა.

— ძღვენი?! ჰა... ჰა... ჰა... კაცო, შენ რა ისეთი ძღვენი უნდა მიართვა, რომ გუნება შეაცვლევინო? ოქროს ვაშლიც რომ მიართვა, მიზეზს მოუძებნის და დაგიწუნებს..

კარისკაცს კიდეც რაღაც უნდა ეთქვა, რომ ამ დროს სასახლის გაღავანში დიდი ფუსფუსი ატყდა. მეფემ ქალაქში გასერივნება იწება და მთელი თავისი ამალით გამოიჩნდა კიდეც სასახლის მარმარილოს კიბეზე. როდესაც გაღავანში გამოდიოდა, თვალი მოჰკრა იქვე ატუზულ გლეხს და განრისხებით მიმართა ვეზირს:

— ვეზირო, მე მგონი, იქ რომ გლეხი დგას, ჩემთან უკვე ყო თხოვნით, დღეს კიდე მოსულა და ამჯერად გაუმაძღ-



— ამ ოქროს როდინს ვერა ხედავ?

რობისათვის უნდა დავსაჯო. აქ მომიყვანეთ, საქვეუბოდ მინდა გავიცხოვრო.

— ჯარისკაცებო, — ზრძანა ვეზირმა, — ახლავე მოიყვანეთ მეფესთან ის თავზელი გლეხი, გალანის მარცხენა კართან რომ ატუსუთლა!

გლეხი ხმამაღლა გავჟყვა ჯარისკაცს, გულში კი ფიქრობდა: ოქროს როდინით ქვეყანას ვავაკირებ, მეფე გულუხვად დამასაჩუქრებს და ჩემზე ბედნიერიც ქვეყანაზე აღარავინ იქნებაო.

— ერთი გვითხარი, შე თავზელო, რამ გაგაბედვინა მეფის სასახლესთან იმ დროს მოხვლა, როდესაც ჩვენი მბრძანებელი განრისხებულია? — თვალები დაუბრიალა გლეხს ვეზირმა.

— მე მინდა მეფეს მისი მოწყალებისათვის მადლობა გადავუხადო და საჩუქარი მივართვა.

— რად აწუხებ მეფეს შენი უღირსი საჩუქრებით? განა არ იცი, რომ ჩვენი ყოვლისმძლე მბრძანებლის ღირსი საჩუქარი თვით მეფეებსაც ვერ მოუძღვნიათ?

მაშინ გლეხი მივიდა მეფესთან, მისი ძვირფასი სამოსის ქობას აკოცა და უთხრა:

— დიღო ხელმწიფე, მე მიტომ გავბედე შენი შეწუხება, რომ სიკეთისთვის, რაც შენ ჩემს ოჯახს გაუწიე, ღმერთმა მადლობა შემამძღვინა. აბა შეხედე. ხელმწიფეო, განა არ არის შენი ღირსი ეს ოქროს როდინი. — ამ სიტყვებთან ერთად ძველი ხურჯინიდან გლეხმა ოქროს როდინი ამოიღო და მადლობა ასწია.

ყველანი განცვივრდნენ. ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, ვეზირმა ჩამოართვა გლეხს როდინი, მოწიწებით მიართვა მეფეს და თვითონაც გაუშაძლარი თვალით დაუწყო ყურება მზის შუქზე მოელვარე ძვირფასი განძს.

— საიდან ჭაქვს ასეთი ძვირფასი როდინი? — ჰკითხა მეფემ.

— დიღო მეფეო, — უბასუხა გლეხმა, — იმ მიწას ვამუშავებდი, შენ რომ მიწყალობე. იქ ერთი მუხის ძირას მიწას ბარი რომ დავკარი, ეს როდინი ამოვარდა.

მეფე ერთ წუთს ჩაფიქრებული შეჰყურებდა როდინს. მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, გლეხს მიმართა: — ეს მართლაც ულამაზესი და უძვირფასესი განძია, მაგრამ ვიცი, როდინთან ერთად ქვასანაყსაც იპოვნე, უსათუოდ იპოვნე. ალბათ, იშვიათი სილამაზის ძვირფასი ქვასანაყი არის, ვთქვით მაგალითად იასპისა, ქალკილიონისა, ან ფირუზის, ანდა ლალის, იქნებ საფირონისა... შოდა ეს ძვირფასი ქვასანაყი შენთვის გადამალო.

ვეზირმაც არ დააყოვნა თავის მხრივ წაეჭეზებია მეფე

— ხელმწიფეო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იყოთ ასეთი გულთამხილავი რა თქმა უნდა, ეს უმადური გლეხუჭა თავისთვის მეტს გადამალოვდა, ვიდრე თქვენ მოგართმევდათ.

— ხელმწიფეო, ვფიცავ ერთადერთ შვილს, რომ მაგის მეტი არა მიაპოვნიან რა იმ დალოცვილ მიწაში!

— უტიფარო, ტყუილზე ფიცსაც ბედავ? წაიყვანეთ და ჩააგდე ხაროში! მაშინ გავიგებთ მაგისაგან სიმართლეს.

თუმცა ბევრი იფიცა საწყალმა გლეხმა, ბევრი ცრემლიც ღვარა, მაგრამ არავის შესცოდებია, არავის მოუხურვებია სიმართლის გაცემა, საწყალ გლეხს არავინ გამოსარჩლებია.

გავიდა ორი დღე. ამესამე დღეს მეფემ მოიხმო ხაროს მცველები და ჰკითხა:

— რაო, გამოტყდა ის ჯიუტი გლეხი თუ არა?

— ხელმწიფეო, — უბასუხა ერთმა მათგანმა, — ეს ჯღერები არაფერი უჭამია, წყალიც არ დაუღვია, თავში ხელეხს იშენს და ასე ამბობს: „ახია ჩემზე, რატომ არ დავუჯერე ჩემს ჰკვიან გოგონასო“.

— აბა, ერთი მომიყვანეთ უნდა გავიგო, რას ეტყობოდა მისი ქალიშვილი ისეთს, რომ სიკვდილის წინ საღარდებლად გახდომია.

მცველებმა მყის შეასრულეს მეფის ბრძანება. უჭმელო-ბისა და თავში ხელის ცემისაგან გლეხი ისე იყო დასუსტებული, რომ ძლივს მოზობდავდა, ფეხები ეკეცებოდა, მაგრამ მეფეს და მის ნებიერ ვეზირებს ეს არც კი შეუმჩნევიათ.

— ერთი გვითხარი, გლეხო, რას გეუბნებოდა შენი ქალიშვილი ისეთს, რომ ასე ჩამოგტირის პირისახე? — ჰკითხა მეფემ მდიდურად.

— ხელმწიფეო, ჩემი ქალიშვილი ჰკვიანი გოგოა. თუმცა მე, მოხუცებულს, ცხოვრების გამოცდილება მეტი მაქვს, მაგრამ ის უფრო კარგად მიხვდა დიდი კაცის ხასიათს. მან მითხრა: „მეფე არ დაგოჯერებს, რომ მართლ როდინი იპოვე და უბედურებას გადააწყდებო“.

— თუ მართლაც ასეთი ჰკვიანი გოგო გყავს, უბრძანე მენახლოს, თვითონ მინდა შევეჯიბრო სიბრძნეში. ასე უთხარი ჩემთან მოვიდეს ისე, რომ ეცვას და მაინც შეიშველი იყოს. ცხენზე არ იჯდეს და ცხენით მოდიოდეს, არც სასახლეში იყოს და არც სასახლის გარეთ. თუ ამ პირობას შემისრულებს, ცოლად შევიერთავ და ჩემი ქვეყნის დედოფლად გამოვაცხადებ, ხოლო თუ ვერ შეასრულებს, ორივეს სიკვდილით დავსჯი.

დაღონდა გლეხი. აბა რა უნდა ექნა, როგორ უნდა ეშველა გაუშუქებული საქმისათვის? მიდიოდა შინ და სულ იმაზე ფიქრობდა, რას ეტყოდა მისი ჰკვიანი გოგონა? მეფის პირობა ისე აშინებდა საცოდავს, რომ მზად იყო ცოცხალი აღარ დაბრუნებულიყო თავის ქონში.

გზაზე მისი ქალიშვილი შემოეგება, მიუაღერსა, სრულიადაც არ უსაყვედურა ის ჯიუტობა, რისი მსხვერპლიც გახდა. ღარიბულ, მაგრამ სუფთა ლოგინში მოასვენა, დაუქუილი თავი მალამოთი დაუამა, ავანშმა და მერე ამბავი გამოჰკითხა.

— ნუ შიშობ, მამა, მეფეს ტყუილად ჰგონია, რომ მეტად ჰკვიანური და ძნელი გამოცანა დავგავალა. მას ავიწყდება, რომ ყველაზე დიდი სიბრძნე ხალხიდან მოდის..

მეორე დღით მეფის სასახლე ცნობისმოყვარე დიდებულებით აივსო. ყველას აინტერესებდა გავიგო, შესძლებდა თუ არა უბრალო გლეხის გოგო მეფის ამოცანების ამოხსნას. გლეხის გოგონაც მოემზადა. მან შეიშველ ტანზე ბაღე მოხსნა ისე, რომ ეცვა და შეიშველი იყო. ბაღის ბოლო ცხენს კუღზე გამოაბა ისე, რომ ცხენზე არ იჯდა და მაინც ცხენით მიდიოდა, როცა სასახლესთან მივიდა, სასახლის მარმარილოს დიდი კიბე აირბინა და კარის ზღურბლზე გაჩერდა ისე, რომ არც სასახლეში იყო და არც სასახლის გარეთ. ყველა გააკვირვა და აღაფრთოვანა ქალის გონიერებამ.

— მართლაც, რომ ქების ღირსი ყოფილხარ, მშვენიერო ასულო, — აღტაცებით წარმოთქვა მეფემ, — ერთი ეს მითხარი, ვინ გზრდიდა, რომ ამდენი სიბრძნე ჩაუნერგავს შენში?

— დიღო მეფეო, აღმზრდელი დედა ადრე დავკარგე, მოხუცი მამის მეტი არავინ გამაჩნია, მაგრამ დედით ობლობამ დავრდომილთა და ღარიბთა სიყვარული მასწავლა. რითაც შემეძლო ყველას ვცხმარებოდი, ყველას ვუმსუბუქებდი ტანჯვას და ხალხმა შემძინა სიბრძნე, ხალხმა მასწავლა დიდი სიყვარული, დიდი მოთმინება, თავმდაბლობა, გულის სისპეტაკე, ნების სიმტკიცე.

— მეც მსურს ხალხთან ახლოს ვიყო და ხალხისაგან ვისწავლო ცხოვრების სიბრძნე! დიდებულნი და კარისკაცნი, ხალხნი და ჯამაათნი! ყველამ იცოდეს, რომ ეს ჰკვიანი გლე-



— ევრ ხედავთ, ბატონო ჩემო... ვთქვამო.

ხის გოგონა მეუღლედ ამირჩევია და დღეიდან ყველამ დედოფლის საკადრისი პატივი სცეს!

დიდი ამბით გადაიხადა მეფემ ქორწილი. ზეიმი შვიდ დღეს გაგრძელდა. მთელი სამეფო დღესასწაულობდა მეფის გაბედნიერებას.

მეფე-დედოფალი ტკბილად ცხოვრობდა, ჰქვიანი გლეხის გოგონა კეთილ გავლენას ახდენდა გულწვიად მეფეზე, რომლისთვისაც უფრო გასაგები გახდა ხალხის გულისტკივილი, მაგრამ დროდადრო მეფეს ისევ დასჩემდებოდა ხოლმე უგუნებობა და ამ დროს მრისხანე და უსამართლო ხდებოდა.

ერთ დღეს მეფე ასეთ საბედისწერო მრისხანებას მოეცვა, როცა მასთან ორს მომჩივანი მოვიდა.

— ხელმწიფეო, გთხოვ, მომისმინო! — უთხრა ერთმა მათგანმა, — უწყალო მამასახლისმა ისეთი ბეგარა შემაწერა, რომ ვეღარ გავუძელ, ერთადერთი ცხენი მყავდა, ისიც დღეს დილით ბაზარზე ჩამოვიყვანე გასაყიდად. ჩემმა ცხენმა აქვე კვიცი მოიგო. როგორც კი ცხენმა თავისი შვილი ალოკა, ეს კვიცი წამოდგა და ჩემს მეზობლად მყოფ, აი, ამ კაცის ძროხასთან მივიდა და ძუძუ მოსწოვა. ახლა ეს დალოცვილი, ჩამციბია, რადგან ჩემი ძროხის ძუძუ მოსწოვა, კვიციც ჩემიაო.

— შენ რას იტყვი? — ჰკითხა მეფემ მეორე მომჩივანს.

— დიღო მეფეო, შენზე ძლიერი და გონიერი მეფე მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვება. შენი სამართლიანი განსჯის იმედი მაქვს და მუხლმოდრეკით გეხვეწები, ნუ გამამტყუნებ. ამ ჩემს მეზობელს ღმერთი გაუნაწყენებია, შენგან

მიგზავნილი კაცისთვის გადასახადი არ მირჩევია! ამიტომ საკუთარი კვიციც განვეგებე და ჩემს ძროხას ეშვილა. ხომ გავიგონია, შვილი მისია, ვისაც ამაგი მიუძღვის, ვისაც ძუძუ უწოვებიაო.

მეფე იღენად მოიხიბლა მეორე მომჩივანის ქება-დიდებათ, რომ იმ წამსვე მისი მხარე დაიჭირა, — შენ მართალი ხარ, კვიცი შენ გეკუთვნისო, — უთხრა.

ცხენის პატრონი ისე ალაშვოთა მეფის ასეთმა უსამართლობამ, რომ გამწარებით წამოიძახა: — ეს არის შენი სამართალი, მეფეო? სად გავიგონია, ძროხას კვიცი მყოლოდესო?!

— როგორ მიბედავ ასეთ მსჯელობას?! მე რასაც ვბრძანებ, — კანონია! ეხლავე გააძევე ეს ბრიყვი, თორემ ციხეში ამოვალპობ!

მეფის მცველებმა სტაცეს ხელი განაწყენებულ გლეხს და კინწისკვრით გააგდეს სასახლიდან. ძროხის პატრონი გლეხი კი გახარებული იყო, რომ პირფერობით და გაიძვერობით ასე გაიმარჯვა და ისე გაბედნიერდა მოაბიჯებდა სასახლის გაღრმობაში, თითქოს დიდი წინ-მედლები მიედოს. უსამართლობით გულნატკენმა ცხენის პატრონმა გადაწყვიტა დედოფლისთვის შეეჩვილა თავისი ამბავი.

დედოფალმა დაარბია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. და აი, ერთ დღეს, როდესაც მეფე მთელი თავისი ამალით სანადიროდ მიდიოდა, გზაზე უცნაურ ამბავს წააწყდა: შუაგულ შარავზე კაცი დამჯდარიყო, ბადე გაეშალა და თევზაობდა. განცვიფრებული მეფე მიუბრუნდა ამ უცნაურ კაცს: — ჰკითხა: — ერთი მითხარი, ვინა ხან, სადაური ხარ?

— მე, ხელმწიფეო, გლეხი ვახლავარ, მთის სოფლიდან.

— მერე და თუ ჰქუათამყოფელი ხარ, აქ რას აკეთებ, ამ შარავზე?

— ნუთუ ვერ ხედავთ, ბატონო ჩემო, რომ ბადე გამიშლია და ვთევზაობ?

— კი, მაგრამ ვის გაუგია ხმელეთზე თევზის ჰერა?

— თქვენგან მივიკირს, მეფეო, თუ კი ის გავიგონიათ, რომ ძროხას კვიცი მოეგოს, ხმელეთზე თევზის დაჰერა რათ არ უნდა გავგეგონო?

— როგორ მიბედავ... მაგრამ შენ მართალი ხარ, შენ მაგობე შენი სიბრძნით, ამიტომ კარგადაც დაგასაჩუქრებ, მაგრამ ეს კი უნდა მითხრა, ვინ დაგარბია, ვინ გასწავლა ასეთი მოსწრებული სიტყვა-პასუხი?

— დედოფალმა, დიღო მეფეო, დღეგრძელი იყოს მისი სიცოცხლე! ხალხის შვილია და ხალხის გულისტკივილიც ესმის.

მეფეს აღარა უთქვამს რა, ხმელეთზე მოთევზავე უხვად დაასაჩუქრა, მაგრამ სანადიროდ აღარ წასულა. განრისხებული დაბრუნდა სასახლეში და პირდაპირ დედოფლის სამყოფელს მიაშურა.

დედოფალმა მეფის უღროოდ დაბრუნება ცუდ ნიშნად მიიჩნია და შეშულოთებით მიმართა: — განრისხებულს გხედავ, მეფეო, ცუდი ამბავი ხომ არაფერია, საზღვრებს მტრის ჯარი ხომ არ მოადგა?

— მტერი სახლში მყავს, ჩემი საკუთარი მეუღლე! როგორ გაბედე და ვიღაც გლეხკაცს იმის უფლება მიეცი, რომ

ყოველმისაღმდეგ მეთისათვის დაეცინა? ეხლა ხომ მთელ ხალხს მოედება ეს ამბავი, ყველას დასაციინი გავხდის!

— და რომ არ იყო ხალხის დასაციინი, ამისათვის სამართლიანი უნდა იყო, ხალხს სიმართლის დამცველი გმირები უყვარს და არა უსამართლო მბრძანებლები.

— თქნებ მართალიც ხარ, მაგრამ შენ ჩემი მეუღლე ვეღარ იქნები, ჩემი ღირსება შენგან დამცირებულია, ამიტომ მამისეულ ძველ ქოხში უნდა წახვიდე საცხოვრებლად, მაგრამ რადგან დღემდე ერთგული და სათნო ცოლი იყავი, მე ნებას გაძლევ ამ სასახლიდან წაიღო ის, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია შენთვის.

— კეთილი იყოს შენი ნება, მაგრამ ხელმწიფეო, ჩვენ ერთად გატარებული ბედნიერი დღეების აღსანიშნავად გთხოვ, გამოსამშვიდობებელი ვახშამი ერთად ვჭამოთ.

— კარგი, მაგ მოწყალეხარაც გავიღებ, — უპასუხა განრისხებულმა მეფემ და ჩქარი ნაბიჯებით დასტოვა დედოფლის სამყოფელი.

დედოფალმა შესანიშნავი ვახშამი გააწყო, რა საჭმელიც და სასმელიც კი უყვარდა მეფეს, ყველაფერი თავისი ხელით შეამზადა. ლალისფერ ღვინოში კი მეფეს დასაძინებელი წამალი ჩაუყარა.

სუფრას მხოლოდ ორნი უსხდნენ, მეფე და დედოფალი. შორიდან ნაწი მუსიკის ხმა ეფინებოდა გარემოს და შადრევნების ჩუმო რაკრაკი ატკბობდა სმენას. შუალაშე გადასული იყო, მთელი სასახლე ტკბილ ძილს მისცემოდა, მხოლოდ მეფე-დედოფალი ფხიწობდნენ. ვახშამს ორივე ჩუმად შეეკცეოდა. მეფისთვის განრისხებას გაეგლო და სინანულის გრძობით იგონებდა დედოფალთან ერთად გატარებულ ბედნიერ დღეებს. დედოფლის მგრძობიარე გულიც მიმხვდარი-

ყო მეფის აზრებს, მაგრამ ჩუმად ადევნებდა თვალს ველ მოძრაობას და აღლევებას არ იმჩნევდა. ბოლოს, მეფეს სუფრაზე ჩაეძინა. დედოფალი სწრაფად წამოდგა და თავის ერთგულ მხევლებს დაუძახა. მეფეს ქალის ტანისამოსი გადააცვა, სახე მოსასხამით შეუბურა და თავისი ერთგული მხლებლების დახმარებით ისე გაიყვანა სასახლიდან, რომ ეჭვი არავის აუღია.

კარისკაცებს ეგონათ, დედოფლის რომელიმე მოსამსახურე ავად გახდა და ექიმთან მიჰყავთ ეტლითო.

გლეხის გოგონამ მეფე მამისეულ ქოხში მიიყვანა, სუფთა ლოგინში ჩააწვინა და თვითონ სასთუმალთან ჩამოჯდა.

შუალაშე კარგად გადასულიყო, როცა მეფეს გამოედვიდა. იგი ათვალთვრებდა მისთვის უცხო, ღარიბულ ქოხს და განცვიფრებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, სად ვარ, ცხადში თუ სიზმარში?

— ჩემო ხელმწიფეო, — მიუგო დედოფალმა, — ნუ გამირისხდები, შენ ჩემთან ხარ, ჩემს მამისეულ ღარიბულ ქოხში...

— როგორ, საიდან, სად არიან ჩემი მცველები?! როგორ გაბედე?!

— მეფეო, შენ ხომ ნება დამართე სასახლიდან გამოეტანა ის, რაც ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასი იყო? და, რადგანაც ჩემთვის შენზე ძვირფასი არაფერია, მე შენ წამოგიყვანე.

მაშინ მეფეს თვალეზზე ცრემლები მოადგა, დაიჩოქა გლეხის ჭკვიანი გოგონას წინაშე და პატიება სთხოვა:

— მე შენი უღირსი ვარ. შენ უნდა იყო ამ ქვეყნის მეფე, რომ სიბრძნითა და კეთილი გულით ხალხს ბედნიერება მოუტანო!

ჩაწერილი და დამუშავებული ქეთო ლანდიას მიერ

მ. ბესპაევი

# თოვლი მოდის

თოვლი მოდის, თოვლი მოდის,  
მთაბარს ყინავს სუსხი ცივი  
და ზამთარი გარეთ დადის  
თეთრწვერიან მოხუცივით.


თოვლი მოდის... ბუჩქნარებში  
მიმალულან ღურაჯები.  
მთებმა მხრებზე წამოისხეს  
თოვლის თეთრი ქულაჯები.

თოვლი მოდის... არემარეს  
თეთრი ფარდა ეხურება  
და საბძლებში გაიკეთეს  
ბზის ქოხები ბელურებმა.


თოვლი მოდის... თოვლი მოდის  
და პატარებს უხარიათ.  
გამორბიან, თითქოს გარეთ  
თოვლის ნაცვლად ბუხარია.

მათი თოვლის ბაბუები  
გარეთ ციგებს დარაჯობენ  
და რომ კითხვით, ახლა ზამთარს  
არც ერთი დ'ხო არ აჯობებს.

თოვლი მოდის... ჭიკჭიკებენ  
ბიჭები და გოგონები  
და პაპებიც ბავშვობაში  
გადადიან მოგონებით.



### ჩარლზ დიკენსი — „ნიკოლას ნიკლბი“



მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი უდიდესი წარმომადგენელია რომანისტების რეალისტური სკოლისა ინგლისში. ჩარლზ დიკენსის რომანების მთავარი თემა იყო კაპიტალისტური ქალაქის ცხოვრება თავისი მწვავე სოციალური წინააღმდეგობებით.

ჩარლზ დიკენსი გვიხატავდა ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს, გვიჩვენებდა არაადამიანურ არსს ბურჟუაზიული კანონებისა და დაწესებულებებისა.

რომანში „ნიკოლას ნიკლბი“, რომელიც დიკენსმა 1839 წელს დაწერა, აღწერილია იმდროინდელი იორკშირის სკოლები, სადაც უფიცი „მასწავლებლები“ ამახინჯებდნენ ბავშვებს, როგორც ზნეობრივად, ისე ფიზიკურად. რომანში დიდი ძალითაა ნაჩვენები იმ უფსკრულის გაღრმავება, რომელიც ორ ბანაკს შორის არსებობს — ბურჟუაზიასა და მშრომელ მასალეობას შორის.

რომანის მთავარი გმი-

რია მგზნებარე ახალგაზრდა ნიკოლას ნიკლბი, რომელსაც მამა ადრე გარდაეცვალა. მას ჰყავს დედა და გაუთხოვარი და. ისინი ჩამოდიან ლონდონში, რათა დახმარება მიიღონ შიდაური ბიძის რაღფ ნიკლბისაგან.

ნიკოლას ბიძამისი მასწავლებლის თანაშემწედ აწყობს თავის მეგობარ უეკფორდ სკვირსთან, რომელიც იორკშირის ერთ-ერთი სკოლის მებატონეა. ამ სკოლაში გათვლებულია შიმშილი, ცემა და სიბინძურე. ლოთი, გადაგვარებული უეკფორდ სკვირისი, მისი მეუღლე და ოჯახის დანარჩენი წევრები არაა დამიანურად ეპყრობიან საბრალო ბავშვებს. ისინი ძროხებსა და ღორებს უკეთ ექცევიან; მოსწავლეებს გოგირდნარევი საკმელს აჭმევენ, რათა მადადაკარგული ბავშვები შესანახად უფრო იაფი დაჯდნენ. ამ სკოლაში აღზრდის ერთადერთი მეთოდია გაჯოხვა, ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა.

ნიკოლას ნიკლბიმ ვერ აიტანა უეკფორდ სკვირის სასწავლებელში გაბატონებული რეჟიმი და, როდესაც განხეცებულ სკოლის მებატონე სცემდა უდანაშაულო მოსწავლეს სმაიკს, ნიკოლასი გამოექომაგა სმაიკს და მასთან ერთად მიატოვა იორკშირის სკოლა — საპყრობილე, სადაც მოზარდთათვის ზრწნიდნენ, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად.

შემდეგ ამისა, ლუკმაპურის საზოგნელოდ ნიკოლასი და სმაიკი ეწყობიან ერთ-ერთ პროვინციულ თეატრ-

ში, რომლის მებატონე ვინსენტ კრომლისა.

არც იმდროინდელი ინგლისის პროვინციული თეატრი გამოიყურება იორკშირის სკოლებთან შედარებით სახარბიელო მდგომარეობაში. თეატრის მებატონე ვინსენტ კრომლისი აკეთებს ყველაფერს, რათა რაც შეიძლება მეტი შემოსავალი დარჩეს. ის გადასულია ყოველგვარ ხალტურაზე, სცენაზე ათამაშებს თავისი ოჯახის ყველა წევრს, დგამს ვოდვეილების მსგავს მძარე ხარისხის პიესებს და ცდილობს საქტაკლი რაც შეიძლება იაფი დაუჯდეს. ასეთ თეატრში უხდება ნიკოლას ნიკლბის მუშაობა. საბედნიეროდ, იგი მალე ლონდონში თავისი დის კეიტ ნიკლბის დასახმარებლად მიემგზავრება.

რომანი „ნიკოლას ნიკლბი“, რომელიც აგებულია ერთის მხრივ — უბრალო მშრომელი ხალხისა და ნიკოლასის, ხოლო მეორეს მხრივ — ბურჟუებისა და რაღფ ნიკლბის ხასიათების დაპირისპირებაზე, წარმოადგენს მწვავე სატირას იმდროინდელი ინგლისის მაღალი წრეების შესახებ. რომანში მართლდაა წარმოდგენილი საქმოსან ბურჟუათა ხასიათები და სახეები. ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრი ფული იზოვნონ და დააგროვონ. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ნიკოლასის ბიძა, მევახზე რაღფ ნიკლბი. იგი ფულისთვის ყოველგვარ სისაძაღლეს ჩადიდებს. ამ კაცის არსებაში გამჯდარია მხოლოდ და

მხოლოდ ფულის სიყვარული. იგი ხელს უწყობს ლორდ ფრედერიკ ვერისონს და სერ მალბერი ჰოუის შეურაცხყოფელ უხემ დამოკიდებულებას თავისი ძმისწულის — კეიტის მიმართ. რაღფ ნიკლბისათვის უცხოა ადამიანური და ნათესაური გრძობა. იგი ცდილობს ამ ვაჟბატონებს ფესქვეშ გაათელვინოს თავისი ძმისწულის სისპეტაკე, რათა არ დაფრთხნენ მისი კლიენტები და რაც შეიძლება მეტი გამოსარჩენი ჰქონდეს ამ ქარაფშუტა, გახრწნილი ახალგაზრდებისაგან.

როგორც ნიკოლასი, ისე კეიტი, ბიძამ აიძულა ლუკმაპურის საზოგნელოდ სხვადასხვა პროფესიისათვის მიემართათ, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. რომანის საშუალებით მკითხველი გრძობს თუ როგორ არაადამიანურ, დამამცირებელ პირობებში არიან სათნო ხასიათის, კეთილშობილი თვისებებით დაჯილდოებული, სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები.

ჩარლზ დიკენსის რომანის „ნიკოლას ნიკლბის“ პირველი წიგნი, რომელიც ახლახან გამოცა „საბლიტგამა“, თარგმნილია ვახტანგ ჭელიძის მიერ. ამ წიგნით ნორჩი მკითხველები გაეცნობიან მე-19 საუკუნის ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებას, ბურჟუაზიული სქოლასტიკური სკოლის მანკიერებებს, მაშინდელი ახალგაზრდობის ამაო ლტოლვას ცოდნისა და სინათლისაკენ; კიდევ უფრო მეტად შეიყვარებენ მშობლიურ საბჭოთა სკოლას.

ბაკაშვილი ბახტურნიძე



# პიონერული ახალი ამბები

## მამაცი მოსწავლე

სოფელი, სადაც მიტო ცხოვრობს, საზღვართან ახლო მდებარეობს.


ერთხელ, მიტო ბაღში მუშაობდა და არც კი შეუმჩნევია, როგორ მიუახლოვდა ვილაც.

— როგორაა საქმეები, მეგობარო, მუშაობ?

მიტომ მოიხედა, უცნობი დაინახა.

— აი, მე კი მწუხარება შემემთხვა... — ამოიხრა უცნობმა.

„რადას იცინი თუ დამწუხრებული ხარ?“ — გაიფიქრა მიტომ. უცნობი მიტოს მიუახლოვდა.



— ძმა გამიხდა ავად, ნამდვილად მოკვდებოდა.. გამოსათხოვებლად მივდივარ. გამიგონე, მეგობარო, — ვითომ სხვათაშორის უთხრა მან, — ეს გზა არ მიდის სოფელ... — და მან დაასახელა სოფელი, რომელიც საზღვრისპირა მდინარის გასწვრივ მდებარეობს.

— დიას, — უპასუხა მიტომ და რაღაც იაზრა, — გზა

ძალიან მიხვეულ-მოხვეულია. თუ გნებავთ, მე გაგაცილებთ. უცნობმა მადლობა გადაუხადა მიტოს და შეაქო. გზას ერთად გაუდგინენ. მალე ერთ ყანას მიაღწიეს.

კოლმეურნეები გარს შემოერტყნენ მიტოს და მის თანამგზავრს, შეეკითხნენ, სად მიდისართო. უცნობი ამათაც გულმოდგინედ მოუყვა თავის ისტორიას მოშაკვდავი ძმის შესახებ. მიტომ დრო იხელთა და ბრიგადირს უამბო თავისი შეხვედრა უცნობთან, თან ეყვი გაუხიარა. ბრიგადირმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ერთი კოლმეურნე მახლობელ სატელეფონო პუნქტში მესაზღვრეებთან დასაკავშირებლად.

გზაზე ავტომანქანა გამოჩნდა. უცნობმა გაქცევა სცადა, მაგრამ ბრიგადირმა გზა გადაუღობა.

ავტომანქანიდან მესაზღვრეები გადმოვიდნენ და უცნობი დააპატიმრეს. იგი სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი აღმოჩნდა.

ფხიველი მოსწავლე მიტო კომკავშირის საოლქო კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

## სკოლები ინგლისში

ცხოვრების ცუდი პირობების გამო თანამედროვე ინგლისში სასკოლო ასაკის ბავშვთა დიდი უმრავლესობა სკოლაში ვერ დადის.

ერთი ინგლისელი მოსწავლეები ქალი გაზეთ „დეილი უორკერში“ წერს, რომ მის კლასში სამოცზე მეტი მოსწავლეა, თითო მერხზე სამი — თბი მოსწავლე ზის. მეორე მასწავლებელი მოგვითხრობს, რომ მის კლასში სიით ორმოცდა-

## ნან. ჯ. ლოლუასი

თექვსმეტი მოსწავლეა, მაშინ როდესაც ოთახში შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ ორმოცდახუთი. ბავშვები იძულებულნი არიან გაკვეთილის ახსნა ფეხზე მდგომებმა მოისმინონ დერეფნიდან.

სასკოლო შენობების მნიშვნელოვანი ნაწილი არაღამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. ინგლისში ძალიან ბევრია ისეთი სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეშია აგებული. ქ. უენსტედში ბავშვები სწავლობენ სკოლაში, რომელიც 1700 წელს აშენდა.



იმ ცნობების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია მასწავლებელთა ეროვნული კავშირის მიერ, ინგლისში ხმარებაშია მეცადინეობისათვის ყოველდღე უფარგის 595 სკოლის შენობა.

სასკოლო შენობების უკმარობის გამო ბევრი ბავშვი მეცადინეობს მიტოვებულ საწყობებში, სარდაფებში, ეკლესიის დარბაზში...

ინგლისის მოწინავე საზოგადოებრიობა გადამწყვეტ პროტესტს აცხადებს მთავრობის პოლიტიკის მიმართ მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. მშობლები და მასწავლებლები გადაჭრით მოითხოვენ გადასინჯულ იქნას მთელი აღმზრდელი მეთოდი სისტემა, აგებული იქნას ახალი სკოლები, შეიქმნას მეცადინეობის ნორმალური პირობები.

ამ სამართლიან მოთხოვნას მხარს უჭერს ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელიც დაუღალავად იბრძვის ინგლისელი ხალხის დემოკრატიული უფლებებისათვის, ინგლისელი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ნამდვილი უფლებებისათვის.

## მოსწავლეები ვ. ი. ლენინის მუზეუმში

ამ დღეებში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი ათასობით მოსწავლემ დაათვალიერა.

აქ იყვნენ სტალინის სახელობის თბილისის I საშუალო სკოლის მოსწავლეები, პიონერები თბილისის პრონერთა სახანძრიდან, თბილისის მე-23, მე-24, მე-39, მე-41, მე-100 საშუალო სკოლების მოსწავლეები.



მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მუზეუმის დარბაზებში გამოფენილმა მასალებმა, რომლებშიც ასახულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და მისი საქმის დიდი განმარტობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა.



# მოკლელ უკვლავურზე

## საგვარკოპიანი ხახილი თბილისის გაკაპებანი

ათიოდე წლის წინათ თბილისის მახლობელ სოფელ ავჭალაში დარგეს რამდენიმე ძირი კოროლიოკი და აღმოსავლური ხურმა. ნარგავებმა კარგად გაიხარეს. მომდევნო პერიოდში ადგილობრივმა კოლმეურნეობამ თბილი ჰავის მოყვარული ეს ორივე სახის მცენარე ჰექტარნახევარზე დარგო. 1952 წელს კოლმეურნეობამ მიიღო პირველი მოსავლი.

სუბტროპიკულ მცენარეთა მსხმოიარობა კარგია. თვითველ მცენარეზე 400—500 ნაყოფს ჰკრეფენ, თითო ნაყოფი 300—400 გრამია, შესანიშნავი შესახედავი, გემრიელი.

ამ კოლმეურნეობის მსგავსად, სუბტროპიკული ხეხილის გაშენებას ხელი მოჰკიდეს თბილისის გარეუბნის რაიონის სხვა სოფლებშიც.



## ათასგაკვეთიანი სიმინის გარკ

— რა ვებერთელა ტაროა!  
— გავიგოთ, რამდენ მარცვლიანია?! ბავშვებმა დათვალეს. მეტრის მესამედის სიგრძის ტაროზე ათასამდე მარცვალა აღმოჩნდა. ასეთივე უხემარცვლიანი იყო მეორე, მესამე, მეხუთე თუ მეათასე ტაროც.

ეს მოხდა თბილისის გარეუბნის რაიონის ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამ სოფლის საყანე მიწების მახლობლად, მლაშე ტბების ზონაში, სამიოდე წლის წინათ წარმოიშვა „თბილისის ზღვა.“ წელს იქიდან ავჭალელებმა გამოიყვანეს არხი ვგრეთწოდებული „ყეინის გორის“ მოსარწყავად. ეს გორა ღრმადღელეშია. მასზე წინათ ბალახიც არ ხარობდა.

მორწყვის საშუალებით აქ პირველად მიიღეს სიმინდის უხვი მოსავალი, თითო მცენარეს უხემარცვლიანი, დიდი, ორისამი ტარო ესხა. შვიდი ჰექტარიდან თვითველზე 270 ფუთი სიმინდი მოიწიეს. ეს შემთხვევა სამაკალითა თბილისის მახლობელ სოფელთა სინამდვილეში. ასევე შეიძლება ითქვას ხორბლის დიდ მოსავალზე. რაც შეეხება ბოსტნეულს, აქ მასობრივად მოჰყავთ სამასგრამიანი ხახვის ბოლქვი, ოთხასგრამიანი კარტოფილი, ორფუთიანი გოგრა. ასე უხემოსავლიანი გახდა მიწა თბილისის ზღვაში.

## ხაკი-გიგანტი

გიგანტი ხაკიან „ოთხ ფეხზე შემდგარი საოცრება,“ როგორც აქ მას უწოდებენ, ათას კილოგრამს იწონის.

ახლოდან შეგვეცოდებათ კიდევ ეს ვეება ცხოველი, რომლისათვის დრუნში რკინის რგოლი გაუყრიათ და მასზე გამომბეული ჯაჭვით ბოძზე მიუბამთ. მეორე სამაგრი კისერზე აქვს გამომბეული.

ცოდვა არ არის?! ალბათ სტიკვა დრუნში? — სინანულით წარმოთქვამენ ხოლმე ბავშვები.

სხვა, აბა, რა ვიღონოთ? ადვილი ხომ არ არის მაგისი დამაგრება. — ეუბნება ბავშვებს მომვლელი ქალი.

მომვლელი ქალის საუბრიდან ბავშვებმა გაიგეს, რომ ეს ხაკი „წითელი ველის“ ჯიშისაა. თავისი სიდიდის მიუხედავად, არც ისე ბევრს ჰკამს, დიდი შრომის უნარი აქვს, გამძლეა. აქვე ნახავთ იმავე ჯიშის ძროხას, რომელიც დღიურად ოცდახუთმეტ ლიტრ რძეს იწვევს. ასეთი წველადობა გამოაკლისი როდია კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც ეს პირუტყვი ეკუთვნის.



კოლმეურნეობის ცხენს, რომელსაც ტური ერქვა, საშინლად ასტიკდა მუცელი. ტური გახდა და მუშაობა აღარ შეეძლო. ვეტერინარმა ექთანმა ცხენი სამუშაოდან გაათავისუფლა და მკურნალობა დაუწყო. ცხენი განიკურნა.

გავიდა დიდი ხანი. ერთხელ ექთანი სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა (ცხოვრობდა იმავე შენობაში, სადაც სავეტერინარო ნაკვეთი იყო). ცოლმა უთხრა:

— რომელიღაც ცხენი სულ ჩვენს სახლთან ტრიალებს. ვაგდებ — არ მიდის, არც ახლო მიშვებს, წიხლებს ისკრის... ექთანმა ფანჯარაში გაიხედა. ცხენი მართლაც იდგა და სამკურნალოს კარბისკენ იყურებოდა. ექთანი გარეთ გამოვიდა. ცხენმა ჩუმით დაიხეიხეინა, მიუახლოვდა და თავი მიაღწია.

— ეს ხომ ტურია! — იცნო ექთანმა. — ნეტავ რა დავართათ? — გასინჯა და გამოარკვია, რომ ცხენს მუცელი სტიკოდა. წამალი დააღვინა. ტური დაწინარდა და საჯინიბოსაკენ წაიხედა. ამის შემდეგ, როგორც კი ტური ავად გახდებოდა თვითონვე მოდიოდა ექიმთან.

## ხაღოვნური ნიმი

წვიმა! როგორი სიხარულით წარმოითქმება ეს სიტყვა, როდესაც ცხელი მზით გადარუჯულ მინდვრებს პირველად დაეცემა სანატრული წვეთები! ამჟამად კოლმეურნეობებში ხშირად გაიგონებთ საქმიან საუბარს წვიმის დაგვემის შესახებ. დაგვემილი წვიმა განსახლვრული რაოდენობით მოდის მხოლოდ იმ მინდვრებზე, სადაც აუცილებელია და საჭირო. ნუ იქნება ცახე ღრუბელი, მის მაგიერობას საწვიმარი მოწყობილობა შესარულებს. ერთი ასეთი შორს მშენებდა საწვიმარი მოწყობილობა დემონსტრირებულია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში.

აი, ტრაქტორმა მოიტანა სარწყავი მოწყობილობა და მინდვრის ბოლოში გაჩერდა.

მდინარეში ეშვება წყლის ამომქაჩავი სპეციალური მოწყობილობა. ტუმბო, რომელიც ტრაქტორის მოტორის საშუალებით მოქმედებს, წყალს შეიწოვს მილებში. უცებ გადმოსცდება სამოცმეტრიანი ნაკადი, რომელიც მინდორს ნამდვილ წვიმასავით დაესხურება.

ეს მოწყობილობა სეკუნდში 30 ლიტრ წყალს ამოქაჩავს.





## სახალწლო ნაძვის ხე

სახალწლო ნაძვის ხეო,  
 ღამით არც შენ იძინებ,  
 შენი ვერცხლის ვარსკვლავებით  
 ციმციმებ და ციმციმებ.

როცა მწვანე ტოტებს გაშლი  
 ბამბის თოვლში ჩაფლული,

ტოტებს შვენით, როგორც ტალღებს,  
 ოქროს თევზი ზღაპრული.

რა ღამაზად ამართულხარ,  
 აღისფერი აღმებით;  
 ხეო, სანთლებანთებულო,  
 მღერით მოგესალმებით.


# ჭ ა რ კ ა კ ი

თ. გომობაძის რედაქციით

## ლ ა მ ა ზ ი პ ა რ ტ ი ა

გასულ საუკუნეში საერთო მოწონებით სარგებლობდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვ. სტენიცის (1836—1900 წ.წ.) გერმანელ ოსტატ ი. ბარდელეზინთან გათამაშებული ლამაზი პარტია.

### ი. ბარდელეზინი



### 3. სტილინი

14. gе1! f6 (იმისათვის, რომ გაკეთდეს ხელოვნური რაქი მფ7 და ეე8 შემდეგ. ახლა დასუსტდა უჯრა e6) 15. ლე2 ლd7 16. გაc1 c6 17. d5! (პაიკის შეწირვა ხაზების გახსნისათვის) cd 18. მd4 მფ7 19. მე6 ეხc8 (დაცვა ეc7 მუქარისაგან) 20. ლფ4 ფ6 (და არა 20... მფ6 21. მფ5+ გამო) 21. მე5+ (14 სვლიანი კომბინაციის დასაწყისი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონს ზუსტად აქვს გათვლილი) მფ6 22. ე:ე7+!! [არ შეიძლება ეტლის აყვანა. თუ 22... ლ:ე7 23. ე:c8+ მოგებთ; თუ 22... მფ:ე7, მაშინ 23. ე:ე1+ მფd6 (და არა 23... მფd8 24. მე6+ მფე7 25. მც5+ გამო) 24. ლხ4+ მფc7 (თუ 24... მფc6 25. ე:ე1x24... ეc5, მაშინ 25. ე:ე6+) 25. მე6+ მფხ8 26. ლფ4 ეc7 27. მ:c7 ლ:c7 28. ე:ე8x. ამიტომ ერთად ერთია] 22... მფ:ფ8! (დაუკვირდით შექმნილ მდგომარეობას. ოთხივე შემტევი თეთრი ფიგურა, როგორც იტყვიან „ჭკიდიან“, ე. ი. მათ ემტკებებიან და ისინი დაუტყველი არიან. ახლა იწყება კომბინაციის ძირითადი ვარიანტი) 23. ეფ7+! მფგ8 (არ შეიძლებოდა 22... ლ:ფ7 24. ე:c8+ გამო. არც 23... მფე8, 24. ლd7x გამო) 24. ეფ7+! მფხ8 (ისევ არ შეიძლებოდა ეტლის აყვანა არც მეფით და არც ლაზიერით. მაგრამ თუ 24... მფ:ფ8, მაშინ 25. მ:h7+ მფე8 26. მ:ფ6+ მოგებით) 25. ე:h7+ მფგ8 26. ეფ7+ მფხ8 27. ლხ4+ მფ:გ7 28. ლხ7+ მფ:ფ8 29. ლხ8+ (ლაზიერის აყვანა არ შეიძლებოდა c1-დან შამათის გამო) მეე7 30. ლფ7+ მეე8 (თუ 30... მფd6 31. ლ:ფ6+ შამათით; თუ 30... მფd8 31. მფ7+ და შემდეგ როგორც პარტიაში) 31. ლფ8+ მეე7 32. ლფ7+ მფd8 33. ლფ8+ ლე8 34. მფ7+ მფd7 36. ლ d6x.



## შინაარსი

88-

რასულ რზა—ლენინი (ნაწყვეტი პოემიდან—ლენინი, თარგმან გრიგოლ აბაშიძემ) . . . . .	1
ნ. ვერტენიკოვი—ვალოდია ულიანოვი (მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე კოკუშკინოში. . . . .	3
ოთარ კუბრავა—ლენინის სურათთან (ლექსი) . . . . .	6
შ. გოჯიძე—ვ. ი. ლენინის მუზეუმში (ნარკვევი) . . . . .	7
ვახტანგ გორგანელი—სახალწლო (ლექსი) . . . . .	10
გურამ კლდიაშვილი—კეთილ იყოს შენი მოსვლა (ლექსი) . . . . .	10
კოტე მესხი—მეგობრის ვაჟი (მოთხრობა) . . . . .	11
ოთარ ჩიჯავაძე—ზეიგენის კბილი (მოთხრობა) . . . . .	13
გივი ძნელაძე—ზამთარი (ლექსი) . . . . .	17
ბეჟან ბარდაველიძე—პირველი თოვლი (მოთხრობა) . . . . .	18
წოლარდ ფახტი—ტონი და ჯადოხსნური კარები (მოთხრობა, თარგმან ვახტანგ ჭელიძემ) . . . . .	20
გლეზის ჭკვიანი გოგონა (ქართული ხალხური „ზღაპარი, ჩაწერილი და დამუშავებული ქეთო ლანდიას მიერ) . . . . .	24
გ. ბესტავეი—თოვლი მოდის (ლექსი) . . . . .	27
ბაკურ ხახტურიძე—ჩარლზ დიკენსი — „ნიკოლას ნიკლბი“ (წერილი) . . . . .	28
პიონერული ახალი ამბები . . . . .	29
მოკლედ ყველაფერზე . . . . .	30
სახალწლო ნაძვის ხე—მუსიკა ჯიმშერ მუჯირისა, სიტყვები კარლო კალაძისა . . . . .	31
ჭადრაკი . . . . .	32
გასართობი . . . . . გარეკ. . . . .	3
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის შ. ცხადაძეს. გარეკანის მეორე გვერდზე—პროექტი ვ. ი. ლენინის ძეგლისა, რომელიც აიგება თბილისში ლენინის მოედანზე. გარეკანის მეოთხე გვერდზე — „პირველი დახმარება“, ფოტოგრაფიული შ. ჩხეტიანისა. ურუნალი დასურათებულია მხატვრების დ. ხახუტაშვილის, ალ. ზანქელაძის, გ. ფოცხიშვილის, კ. მახარაძის, ზ. ლეჟავას მიერ.	

რედაქტორი რევაზ მარგაიანი  
 სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ს. ბ. ლებანიძე (პ.მ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

# გ ე ს ა რ თ ო ბ ი

## შ ა რ ა დ ა


ლაღად დაფრინავს ჩიტუნა,  
ფერად ლეგა და ყვითელი,  
ზამთარ და ზაფხულ აქ ცხოვრობს,  
ჩვენია მკვიდრი ფრინველი,  
ფრიად არ ზოსწონს მერცხალი—  
მედროე, გადამითელი,  
ამიტომ თურმე მოუხდა  
იმასთან ომი ძლიერი.  
(პოეტმაც უძღვნა ამ ომსა  
ლექები გულისხმიერი).  
ამ ჩიტის სახელს მოჰკვეცეთ  
ასო, ბოლოში დებული,  
დაგრჩებათ ფუძე ხალსი,  
ორი მარცვლისგან გებული,

მათგან მეორე აიღეთ  
ორმაგად გადიდებული,  
და ბოლოს ასო დაურთეთ,  
სუფიქსად სახელდებული, —  
კნინობით სახელთ წარმოჰქმნად  
ეს ასო განკუთვნილია.  
კვლავ დაუმატეთ მარცვალი,  
ორი ასოსგან ქმნილია.  
ამ მარცვალს მალე იპოვის  
მცოდნე ქართულის ტკბილისა—  
ქართულ გვარებში ამჟამად  
შესატყვისია „შვილისა“;

მით დავასრულოთ აგება  
შარადის არადვილისა  
და მივუწეროთ სახელი  
დიდი მამულიშვილისა,  
რომელიც ჩვენი სამშობლოს  
მტრებისა იყო მზარავი  
და მისი თავისუფლების  
მედროშე დაულაღვი,  
სიტყვის ოსტატი უებრო,  
სიმაართის არამფარავი,—  
მარად თავს ადგას მამულსა  
მისი დიდების კარავი.

ჭ. ხუნდაძე

### ქ რ ო ს ვ ო რ დ ი



### ჭ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

3. მუსიკალური ინსტრუმენტი, 7. სახელმწიფოს კანონ-  
თა კრებული, კონსტიტუცია, 8. უარყოფის ნიშანი მუსიკა-  
ში, 9. სამკურნალო ბალახი, 14. ცნობილი პორტუგალიელი  
მკვლევარი, 15. საქართველოს ერთ-ერთი ქედი, 18. სიმძი-  
მეთა ასაწევი მექანიზმი, 19. სოკო, 20. თევზი, 22. სახელ-  
მწიფო ამერიკაში, 23. მდინარე საქართველოში, 29. დორ-  
გომიუსის ოპერა, 31. დაჯარიმება ფეხბურთში, 32. უმოტო-  
რო საფრენი მოწყობილობა, 33. ქალაქი საქართველოში,  
34. ოქრომკედლის ხელსაწყო, 35. სხეულის თვისება შეინარ-  
ჩუნოს მოძრავი მდგომარეობა.

### ვერტიკალურად:

1. ლიტერატურული ნაწარმოები, 2. ანძებს შორის გაბ-  
მული მავთული რადიო-ტალღების დასაქერად, 4. ტროპი-  
კული მერქნიანი მცენარე, პარკოსანთა ოჯახიდან, 5. თან-  
მწკრივა ხაზი გეომეტრიაში, 6. სახელმწიფო სამხრეთ ამე-  
რიკაში, 10. აზერბაიჯანის დიდი პოეტი მე-12 საუკუნეში,  
11. მერიმეს ნაწარმოები, 12. მაღალი მთა აზიაში, 13. ყურ-  
ძნის კრეფა, 16. ინტერვალი მუსიკაში, 17. მოდულებული  
ხილის წვენი, 21. კუნძული აფრიკაში, 24. შუა ადგილი,  
25. უზბეკური ცეკვა, 26. მზის სისტემის პლანეტა, 27. ქა-  
ლაქი ინდოეთში, 28. ქალაქი ჩინეთში, 30. სამხედრო სახა-  
ზო ხომალდი.

შეადგინა რ. თავდილიშვილმა

### ჭადრაკის ცხენის სვლით



ჭადრაკის ცხენის სვლით წაიკითხოთ ქართველი პოეტის  
სახელი, გვარი, ფსევდონიმი და მისი ერთ-ერთი ნაწარმო-  
ების სახელწოდება.

შეადგინა თელავის საშუალო სკოლის  
მოსწავლე ც. ბაბუშვიამ

ბეჭე

5.246/35

ფანი 2  
თბილისის  
ბიბლიოთეკა

